საერთო გაზეთი

№20 (478) • 30 მაისი, 2018წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

100 წელი
საქართველოს ეროვნული დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან

სტრასბურგი: „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“

„ჟურნალისტებმა დათვალეს, რუსულმა მხარემ საათნახევარში დაახლოებით ასჯერ გამოიყენა სიტყვა „ფალსიფიკაცია“, რაც არგუმენტების არარსებობაზე მიუთითებს“

ნოდარ ჭითანავა:
ენგურჰესს სასწრაფოდ ჭირდება შველა, თორემ დავიღუპებით!



ბერია - ჯალათი თუ პატრიოტი?

ახალი „მეცნიერული აღმოჩენა“ - ლაზები და მეგრელები ქურთებისა და ებრაელების შთამომავლები არიან!

„მივმართავთ შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს — თუ ეს ქალბატონი ნორმალური არ არის, უმკურნალეთ, თუ პროვოკატორია, ესეც გაარკვიეთ და ისე უმკურნალეთ, როგორც პროვოკატორებს მკურნალობენ“.

„ნიუ ეიჯი“ – ახალი რელიგია აკეთე ის, რაც გინდა...

„ნიუ ეიჯის“ უკვე 22 მილიონი მიმდევარი ჰყავს

ისტორიული სასამართლო პროცესი სტრასბურგში - „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“

ჟურნალისტებმა დათვალეს, რუსულმა მხარემ საათნახევარში დაახლოებით ასჯერ გამოიყენა სიტყვა „ფალსიფიკაცია“, რაც არგუმენტების არარსებობაზე მიუთითებს

23 მაისს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქმის „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“ ბოლო ზეპირი მოსმენა გაიმართა. საქმე სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ განიხილა, რომელსაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეზიდენტი გვიდო რაიმონდი (იტალია) ხელმძღვანელობს. შეგახსენებთ, რომ საქართველო რუსეთს აგვისტოს ომისა და შემდგომი ოკუპაციის დროს ევროპული კონვენციის რვა მუხლის დარღვევაში ადანაშაულებს, კერძოდ: სიცოცხლის უფლება (მე-2 მუხლი), წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა (მე-3 მუხლი), თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (მე-5 მუხლი), პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება (მე-8 მუხლი), სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება (მე-13 მუხლი), საკუთრების დაცვა (1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი), განათლების უფლება (1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი), მიმოსვლის თავისუფლება (მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი). პროცესის მიმდინარეობისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ სტრასბურგიდან დაბრუნებული ქართულ დელეგაციის წევრი, ბრიგადის გენერალი, ანალიტიკოსი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ამირან სალუქვაძე გვესაუბრა:

— 23 მაისს სტრასბურგში მრავალწლიანი პროცესის შემაჯამებელი, ფაქტობრივად, დასკვნითი სხდომა გაიმართა. პროცესს ქართველი ჟურნალისტების გარდა, უამრავი სხვა ქვეყნის ჟურნალისტი აშუქებდა. დაახლოებით, საათისა და 20 წუთის განმავლობაში საქართველოს ადვოკატებმა დეტალურად მიმოიხილეს ომის დაწყებამდე განვითარებული პროცესები და ისაუბრეს რუსეთის მიერ ჩადენილ ომის დანაშაულებზე. საქართველოსაც და რუსეთსაც ბრიტანელი ადვოკატები ჰყავდათ დაქირავებული, მაგრამ მომზადების დონით, მათ შორის ძალიან დიდი განსხვავება იყო. ჩემი და არა მხოლოდ ჩემი შეფასებით, საქართველოს ადვოკატები გაცილებით დამაჯერებლად გამოიყურებოდნენ და ძალიან კვალიფიციურად შეძლეს ჩვენი ინტერესების დაცვა. რა თქმა უნდა, სასამართლოს გადაწყვეტილებას მხოლოდ დასკვნითი სიტყვა არ განსაზღვრავს, რადგან მანამდეც უამრავი პროცესი ჩატარდა, უამრავი მტკიცებულება იქნა წარდგენილი და მრავალი მოწმე დაიკითხა. როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო, ამაზე საუბარი რთულია, თუმცა ბრალდების უმეტეს ნაწილში ჩვენი მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები იმდენად მყარი იყო, რომ სასამართლომ აუცილებლად ობიექტური გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. ყოველ შემთხვევაში, განწყობა ასეთია.

— როგორც ვიცი, რუსეთის კონტრარგუმენტები ამჯერადაც, ომის დაწყების დროს და მძინარე ცხინვალის დაბომბვას ეხებოდა..

— დიახ, რუსეთი გამუდმებით ომის დაწყების თემაზე აპელირებს, ამიტომ ცუდია, რომ ჩვენს გამოსვლაში ნახსენები არ იყო რა უძღოდა წინ 7 აგვისტოს. რომ იყო სროლები ქართული სოფლების მიმართულებით და ა.შ. ვფიქრობ, რომ ამ თემაზე ჩვენს საზოგადოებაში ერთობა უნდა იყოს. ჩვენ შეიძლება საკუთარ ხელისუფლებას პრეტენზიები წავუყენოთ სამხედრო ოპერაციების წარმოების საკითხში, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ საბრძოლო მოქმედებები 7 აგვისტოს არ დაწყებულა. რა თქმა უნდა, რუსეთს აწყობს, რომ ომის ათვლა 7 და 8 აგვისტოდან დაიწყოს, მაგრამ ყველამ ვიცით, რომ საკმაოდ ინტენსიური სროლები იყო ივნისში, ივლისში და აგვისტოს პირველ რიცხვებში, მათ შორის არტილერიის გამოყენებითაც. ჩვენი ხელისუფლების შეცდომა ისაა, რომ ამ რეალობის სათანადოდ გაშუქება და მსოფლიოსთვის ჩვენება ვერ მოახერხა, ამიტომ რუსეთი გამუდმებით ატრიალებს რეაქტიული დანადგარების ღამით გამოყენების კადრებს და ცდილობს პრეტენზია შემოგვიბრუნოს, რომ მძინარე ცხინვალში მშვიდობიანი მოსახლეობა დავბომბეთ.

— ამ ბრალდების დამადასტურებელი ფაქტები თუ წარმოადგინეს?

— ასეთი ფაქტები წლების განმავლობაში ვერ წარმოადგინეს და ვერც წარმოადგენენ, რადგან დასახლებული პუნქტები არავის დაუბომბავს .. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ბომბავდნენ საქართველოს ტერიტორიაზე შემოსულ რუსულ კოლონებს. ამის გარდა, რუსეთის მხარემ განაცხადა, რომ სამხრეთ ოსეთი საქართველოს სტალინმა მიუერთა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხრეთ ოსეთი ძალით იქნა მიერთებული საქართველოსთან და ზოგადად, ძალიან ბევრ ისტორიულ აბსურდზე ისაუბრეს. რაც შეეხება ომის დაწყება-არდაწყების თემას, სამშვიდობო კონტინგენტი კონფლიქტის ზონაში იმისთვის არ დგას, რომ რომელიმე მხარე განსაჯოს და კონფლიქტი ცალმხრივად გადაწყვიტოს. მისი ფუნქცია ცეცხლის განახლების შემთხვევაში დაპირისპირებული მხარეების დაშორიშორება და მოლაპარაკების მაგიდასთან მიყვანაა. ჩვენ კი სრულიად სხვა რამ ვიხილეთ. რუსეთი მეორე მხარის სასარგებლოდ მოქმედებდა, რაც სამშვიდობო ფორმატში ნამდვილად არ ჯდება. ვიმეორებ, რუსეთის ქმედებები ცეცხლის შეწყვეტისა და შეიარაღებული დაპირისპირების აღკვეთისკენ უნდა ყოფილიყო მიმართული და ამისათვის მას ძალის გამოყენების მანდატიც ჰქონდა. ჩვენი ერთ-ერთი ბრალდება რუსეთის მიერ ჭარბი ძალის გამოყენებაა, მაგრამ თუ ეს ძალა საომარი მოქმედებების შეწყვეტას და რეგიონში მშვიდობას უზრუნველყოფდა, პრეტენზიები არ გვექნებოდა. საქმე ისაა, რომ რუსეთის ინტერესებში სწორედ ომი და სროლები ჯდებოდა, ამიტომ პროცესები დიდი ხნის წინ დაწერილი სცენარით წარმართა.

— ასეთი სცენარის არსებობას რით ვადასტურებთ?

— იმას, რომ კონფლიქტის სცენარი წინასწარ არსებობდა, რუსეთის ოფიციალური პირების ომამდელი და ომის შემდგომი განცხადებებიც ადასტურებს. ქართულმა მხარემ სასამართლო პროცესზე ზემოთ ხსენებული სცენარის არსებობა საკმაოდ ეფექტიანად დაამტკიცა რუსეთის ლიდერის ომამდელი

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

განცხადებებით სამოქმედო გეგმებსა და ე.წ. საშინაო დავალებებზე და და ასევე ომის შემდგომი განცხადებებით, როცა აღარ მალავდნენ, თუ როდის დაიწერა ეს გეგმა გენერალურ შტაბში. ყველაფერი მეტყველებს, რომ 2006–07 წლებში ჩვენი ორი რეგიონის ოკუპაციის და აღიარების პროცესის გეგმა უკვე არსებობდა და პუტინმა მას ომამდე ორი წლით ადრე მოაწერა ხელი. რუსეთმა შემოიყვანა ჯარი, გამოდევნა კონფლიქტის ზონიდან ეთნიკურად ქართული მოსახლეობა, ჭარბი ძალის გამოყენებით ვითომ მშვიდობის იძულება, რეალურად კი ამ ორი რეგიონის ოკუპაცია მოახდინა და იქ საკუთარი ბაზები განათავსა. ზუსტად ეს იყო რუსეთის მთავარი მიზანი.

რაც მთავარია, საქართველო ომის დაწყებაში დამნაშავეც რომ იყოს, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ომის დანაშაულებთან. ადამიანის უფლებათა სასამართლო კონფლიქტის ისტორიას არ იხილავს. მას არ აქვს იმის მანდატი, რომ მხარე ომის დაწყებაში დაადანაშაულოს.. სასამართლო იხილავს ომის დანაშაულებს და

ადამიანის უფლების დარღვევებს, რაც სახეზეა. ომის დაწყებისა თუ ცუდად წარმოებული სამხედრო მოქმედებების თემა, რამაც სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანა, ეს ჩვენი განსახილველი საკითხია და ამ სასამართლოს ფორმატში არ განიხილება. მნიშვნელოვანი თემაა, რომ რუსეთი წლების განმავლობაში, განსაკუთრებით აფხაზეთის ომის შემდეგ, მუდმივად ახორციელებდა სეპარატისტული რეჟიმების როგორც პოლიტიკურ, ასევე ფინანსურ მხარდაჭერას, სეპარატისტული რეჟიმების სამხედრო ფორმირებების ჩამოყალიბებას, მათ აღჭურვას, სპეციალისტების მომზადებას, წვრთნებს და ა.შ. სრულიად უკანონოდ ახორციელებდა ძალადობრივ პასპორტიზაციას და ჩვენი მოსახლეობის ყოველმხრივ შევიწროვებას. განსაკუთრებით, გალის რაიონში და ეს ყველაფერი აგვისტოს ომამდე ხდებოდა.

— რუსული მხარე ამტკიცებს, რომ 12 აგვისტოს გორში „ისკანდერის“ ტიპის რაკეტები არ გამოუყენებიათ და გორში მოკლული ჰოლანდიელი ჟურნალისტის სტან სტორმანსის სხეულში რაკეტის ნამსხვრევები ქართულმა მხარემ მოათავა.

— დიახ, რუსეთის მხარეს უხეშად მოუვიდა ჰოლანდიელი ჟურნალისტის მიერ ჩატარებული გამოძიების კომენტირება და ბოდიშიც არ მოუხდია, რომ „ისკანდერის“ ჩამოგდების დროს ათზე მეტი ადამიანი და მათ შორის, ჰოლანდიელი ჟურნალისტი დაიღუპა. შეგახსენებთ, რომ „ისკანდერი“ არის ძლიერი მოქმედების ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტა, რომელიც აზიანებს 15000 კვ-მ-მდე ტერიტორიას და რა თქმა უნდა, მისი გამოყენება მშვიდობიანი მოსახლეობით დასახლებულ ტერიტორიებზე აკრძალულია, რაც რუსეთმა უგულვებელყო. ამიტომ რუსეთი მთლიანად უარყოფს „ისკანდერის“ არსებობას და ქართული მხარის ბრალდებებს, რომლებიც შესაბამისი მტკიცებულებებითაა გამყარებული, ფალსიფიკაციას უწოდებს. ჟურნალისტებმა დათვალეს, რომ რუსულმა მხარემ საათნახევარში დაახლოებით, ასჯერ გამოიყენა სიტყვა „ფალსიფიკაცია“, რაც არგუმენტების არარსებობაზე მიუთითებს. დაიწყეს რაღაც ზღაპრების მოყოლა, რომ არსებობს „ისკანდერების“ საექსპერტო მოდიფიკაციები, რომლებსაც ბოლოში „E“ აწერია და ა.შ. ალბათ, ამით რუსეთის ადვოკატს უნდოდა დაემტკიცებინა, რომ „ისკანდერები“ სხვა სახელმწიფოებსაც გააჩნია, თუმცა 2008 წელს რუსეთის გარდა, ჩვენს არც ერთ მეზობელ ქვეყანას ეს რაკეტა არ ჰქონდა. რუსები სიცრუეს უწოდებენ გორში დაღუპული ჰოლანდიელი ჟურნალისტის მიერ ჩატარებულ გამოძიებას, გიორგი ანწუხელიძის წამების კადრებს და უამრავ მასალას, რომელიც სამხედრო ტყვეების მიმართ არაადამიანურ მოპყრობას ადასტურებს. სიცრუეს და ფალსიფიკაციას უწოდებენ ქართული მოსახლეობის გამოდევნას და მათი სახლების განადგურებას. მოკლედ გეტყვით, რომ რუსეთის ადვკატების მიერ წარმოდგენილი ციინიკური და უსუსური თავდაცვითი სტრატეგია საკმაოდ მძიმე მოსასმენი იყო.

— დიდ ბრიტანეთში რუსეთის სამხედრო დაზვერვის ყოფილი ოფიცრის სერგეი სკრიპალისა და მისი ქალიშვილის მოწამვლის შემდეგ მსოფლიოში ანტირუსული განწყობა გაძლიერდა. შეიძლება თუ არა ამ განწყობამ სასამართლოზე ჩვენს სასარგებლოდ იმუშაოს?

— მე სასამართლოსგან ობიექტურ გადაწყვეტილებას ველოდები და არ მინდა, რომ ის რაიმე განწყობებზე იყოს დაფუძნებული. სხვათა შორის, შეიძლება პირიქით მოხდეს და სასამართლო გარკვეულწილად, რუსეთის მიერ ბოლო დროს განხორციელებული ზეწოლისა და შანტაჟის გავლენის ქვეშ მოექცეს. ეს განსაკუთრებით, ევროსტრუქტურების დაფინანსებას ეხება. რუსეთი იმუქრება, რომ დაფინანსებას შეწყვეტს და ამ ფორმატებს მთლიანად დატოვებს. თუ არ ვცდები, საუბარია 34 მილიონ ევროზე, მაგრამ არა მგონია, რომ სასამართლო შანტაჟს დაექვემდებაროს.

— საუბრის ბოლოს 26 მაისის საზეიმო აღლუმზე მომხდარ ინციდენტზეც გკითხავთ. ფიცის დადების ცერემონიის შემდეგ რამდენიმე ჯარისკაცი ცუდად გახდა და პრეზიდენტმა მოედნიდან ჯარის გაყვანის გადაწყვეტილება მიიღო. „ძალიან ცხელი გარემოდან და იქიდან გამომდინარე, რომ მზე გვაჭერს, მე მინდა, რომ ჯარი მოედნიდან გავიდეს და მე გავაგრძელებ ცერემონიას“ — ბრძანა გიორგი მარგველაშვილმა. როგორ ფიქრობთ, ჯარისკაცების შეუძლოდ გახდომის მიზეზი მართლა სიცხე გახდა?

— სოციალურ ქსელში გარკვეულ დეტალებს გავეცანი და მაღალი ალბათობით შემიძლია ვთქვა, რომ ის ჯარისკაცები მოედანზე ფაქტობრივად, 6 საათიდან მშივრები იდგნენ. ეს იყო ჩვეულებრივი გამოსვლა, ფიცის დადება და გასვლა, რაც უამრავჯერ გაკეთებულა და ჯარისკაცებს განსაკუთრებული უნარ-ჩვევების გამოვლენა არ ჭირდებოდათ, ამიტომ ჩემთვის სრულიად გაუგებარია, რა საჭირო იყო ჯარის 6 საათზე მიყვანა და ამდენი ხნის განმავლობაში დაყენება. როცა ხალხი მოედანზე 6-7 საათზე მიგყავს და 2-3 საათამდე ანუ 7-8 საათის განმავლობაში დაყენებას გეგმავ, მაშინ კეთილი უნდა ინებო და მათი კვებაც დაგეგმო, თუნდაც მშრალი ულუფით და წვენებით. ამ ყველაფრის მოგვარება მარტივად შეიძლებოდა და არაფერი მოხდებოდა. ასე, რომ ბოდიში აქვთ მოსახდელი და არა იმის თქმა, რომ ასეთი რაღაცეები სხვაგანაც ხდება. კი ბატონო, ასეთი შემთხვევები სხვა არმიებშიც ხდება, მაგრამ როცა ასე მასიურად, რამდენიმე ჯარისკაცი წაიქცევა, სხვა პრობლემასთან გვაქვს საქმე. ფიზიკური ჯანმრთელობა ყველას სხვადასხვა აქვს. ვიღაცამ ამდენი ხანი მშიერ კუჭზე, სრული აღჭურვილობით ფეხზე დგომას გაუძლო და ვიღაცამ ვერა. არ მომეწონა ოფიციალური პირების განცხადებები, რადგან ასეთ დროს უადგილოა საქმის მიჩქმალვის მცდელობა და იმაზე საუბრები, რომ ჯარისკაცს მეტი სივრცე ჭირდება. ამას ჯობდა მომხდარის მიზეზები გაერკვიათ და ჯარისკაცების ჯანმრთელობის მდგომარეობა ეცნობებინათ, რადგან ეს ჯარისკაცები ჩვენი შვილები არიან და განსაკუთრებულ ზრუნვას საჭიროებენ. არ მინდა საუბარი ნეგატიურ ნოტაზე დავამთავრო.. საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავს ვულოცავ ყველას და პირველ რიგში იმ ჯარისკაცებს და სამხედროებს, რომლებიც თავისუფლების მოედანზე იდგნენ და საქართველოს ერთგულებაზეფიცი დადეს.

ნელი თორდია
571 35 36 88

ბიძინა ივანიშვილი: პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე:

„საქართველოს თითოეულ მოქალაქეს ვულოცავ დღევანდელ დღეს.

მინდა სიამაყით აღვნიშნო, რომ 100 წლის წინ, როდესაც ქართული რესპუბლიკა დაფუძნდა იმ უზარმაზარ სივრცეში, რასაც ევრაზია ჰქვია, უიშვიათესი მოვლენა იყო დემოკრატიულ საფუძვლებზე დაფუძნებული სახელმწიფოების რაოდენობა.

ქართული დემოკრატიული რესპუბლიკა ყველაზე პროგრესულ და ხალხის სამსახურში მყოფი სახელმწიფოების რანგში შეიძლება მოვიხსენიოთ. და ეს არ იყო შემთხვევითი, რამეთუ ქართული რესპუბლიკა დაფუძნდა და მემკვიდრე იყო მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფოსი. მსოფლიო ცივილიზაციის გარიჟრაჟზე არსებობდა კოლხეთი, ძლიერი და განვითარებული სახელმწიფო, სადაც ეგულებოდათ ოქროს საწმისი, ცოდნისა და სიბრძნის სიმბოლო და ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყანა განვითარებული სახელმწიფოების ღირსეულ რიგში ჩადგეს და ჩვენს უზარმაზარ, ოცდაათ საუკუნოვან სახელმწიფოებრივ ტრადიციას და კულტურას შესატყვისი პატივი მივაგოთ.

კიდევ ერთჯერ ვულოცავ მთელ საქართველოს დღევანდელ დღესასწაულს.“

ენგურჰესს სასწრაფოდ ჭირდება შველა, თორემ დავიღუპებით!

„ამდენს იმიტომ კი არ ვლაპარაკობ, რომ თავის გამოჩენა მინდა, 80 წლის კაცს ეს არაფერში მჭირდება, არც თანამდებობას ვეძებ. გული რომ შემტკივა ჩემს ქვეყანაზე, იმიტომ ვამბობ, ხელისუფლება რომ გქვია, რატომ არ მიჯერებ, მით უმეტეს იცი, რომ მთელი ცხოვრება ენერგეტიკაში გავატარე“

„ენგურჰესზე უჩვეულო არაფერი ხდება, მოხდა ის, რაც ჩვეულებრივ ხდება ზედამხედმხედველობის, კონტროლის და სპეციალისტების არარსებობის პირობებში. ის ადამიანები არ მყავს მხედველობაში, ვინც ექსპლუატაციას უწევს ამ სადგურს, იმ სპეციალისტებს, ვინც კანონმდებლობას და საფუძველს ქმნიან, რომ ქვეყანაში გაჩნდეს კანონის აღსრულების მექანიზმი მართვის სტრუქტურისთვის, მათ შორის ენერგეტიკისთვის“, აცხადებს სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საძიებო ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი, ენერგეტიკის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ანზორ ჭითანავა.

ამ ყველაფრის არარსებობამ და ხელმძღვანელობის სითამამემ გამოიწვია ის, რომ ჩვენ ფაქტობრივად იგნორირება გავუკეთეთ ამ უნიკალური ნაგებობისთვის საჭირო უსაფრთხოების მოთხოვნებს. უსაფრთხოება ნიშნავს პირველ რიგში კრიტერიუმების დადგენას იმისთვის, რომ ქვეყანა იყოს მდგრადი, შეეძლოს ეკონომიკური წინსვლა და განვითარება. ჩვენ არც ეროვნული კრიტერიუმები გვაქვს შემუშავებული და არც ვინმესგან გვაქვს გადმოღებული, გამოდის, თვითდინებაზეა მიშვებული ექსპლუატაციის უსაფრთხოება. ენერგეტიკაში უსაფრთხოება ყველა ობიექტისთვის ინდივიდუალურია, ყველას თავისი შესაძლებლობები აქვს, ზოგადი მოთხოვნების გავრცელება შეიძლება, მაგრამ კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით თუ არ გააკეთე კორექტირება, არ შეიყვანე ეს მონაცემები იმ ბაზაში, რასაც ჰქვია მდგრადობა და საიმედო ექსპლუატაცია, დაიშლება ეს სისტემა. **ენგურჰესი 40 წელია ექსპლუატაციაშია, ეს საკმაოდ ხანგრძლივი ვადაა, ამ ხნის** განმავლობაში მას ჭირდებოდა რეაბილიტაცია, განახლება, გარკვეული მოთხოვნების, დაკვირვებების შედეგად მიღებული მასალების საფუძველზე იმ მოთხოვნების კორექტირება, რასაც ჰქვია ობიექტის მდგრადობის, საიმედოობის მახასიათებლები და უსაფრთხო ექსპლუატაციის პირობები. წლების განმავლობაში ჩვენ ამ ყველაფერს ვაკეთებდით, კომუნისტების მმართველობის პერიოდში ინტენსიურად ანალიზდებოდა, კორექტირდებოდა ეს მონაცემები, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ეს პროცესებიც შეწყდა. დღეს ჩვენ სრულყოფილად არ ვფლობთ ვითარებას, ავტომატიზირებული სისტემებიდან (ნაგებობის ტანშიცაა ჩატანებული ზოგიერთი აპარატურა) ანათვლებს ვღებულობთ, მაგრამ თუ ის სისტემაში არ იქნა დანარჩენ კომპონენტებთან, ცალკე ზუსტ სურათს არ იძლევა, ამახინჯებს მდგომარეობას და ფაქტობრივად, შეიძლება პიროვნულ კვალიფიკაციაზეა დამოკიდებული. მდგომარეობა ზოგჯერ შეიძლება გაიოლებულად წარმოიდგინო, ზოგჯერ კატასტროფულად მოგეჩვენოს, მაგრამ მოჩვენებითი იყოს ეს ყველაფერი. ეს ამ უნიკალური ნაგებობის, მსოფლიოში იშვიათია ასეთი რთული კომპლექსი, როგორიცაა ენგურჰესი, ნაკლი არ არის. მართლაც საამაყო ნაგებობაა, რომელსაც ასეთივე ზედამხედველობა და ყურადღება ჭირდება, რასაც დღეს ვერ ვაკეთებთ.

რაც შეეხება თავად რამდენიმე დღის წინ მომხდარ ავარიას. გვირაბის გაჩერების, წყალმოდინების შეჩერების შემდეგ დათვალიერების შედეგად, სპეციალისტებს გარკვეული ინფორმაციები გვაქვს, მაგრამ ბოლომდე არ არის გარკვეული რა მოხდა. რამდენიმე დღეში დაიდება მომხდარის შესახებ, პირველი მიახლოებითი დასკვნა, თუმცა სპეციალისტებს მანამდე შეგვიძლია ვთქვათ, უკვე გვაქვს ვიზუალური დათვალიერების შედეგად მიღებული დასკვნა, რომ **სატურბინო მილსადენის ბოლო ნაწილში (სადაც ტურბინაში წყალი შედის) არსებული სარქველი მოწყდა. ეს რთული კონსტრუქცია ლითონისგანაა დამზადებული. 40 წელია, რაც ენგურჰესი ექსპლუატაციაშია და ამ ხნის განმავლობაში იქ არაფერი შეუცვლიათ, ე.ი. ლითონი „დაილალა“, არსებობს ასეთი ტერმინი, ლითონის დაღლა, ვერ გაუძლო წყლის დაწოლას და გამოხეთქა.** სპეციალისტებს არაერთხელ გაგვიკეთებია საჯარო განცხადებები, გვისაუბრია ხელისუფლების წარმომადგენლებთან, რომ სახიფათო იყო ასეთი უკონტროლობა, საჭირო იყო სარეაბილიტაციო სამუშაოები, მაგრამ კაციშვილი არ აქცევს ამას ყურადღებას. ჰესზე ამისთანა ხუთი კონსტრუქციაა, ახლა ერთმა გამოხეთქა და ამხელა პრობლემები შეგვიქმნა, არ არის გამორიცხული დანარჩენებზეც იგივე მოხდეს. ამიტომ ვამბობდით 2006 წლიდან რომ გაგვეჩერებინა ენგურჰესი და ცალკეული ნაგებობის კი არა, მთლიანად სისტემის რეაბილიტაცია მოგვეხდინა. იმის მერე 12 წელი გავიდა, წესით უკვე ორჯერ უნდა გაგვეჩერებინა ენგურჰესი და ჩაგვეტარებინა სარეაბილიტაციო სამუშაოები. მთლიანად, კომპლექსში უნდა გაგვეკეთებინა რევიზია, დაგვედგინა ავარიასაშიში უბნები და იმის მიხედვით მოგვეხდინა რეაგირება, რომ შეგვერბილებინა მოსალოდნელი უსიამოვნებები. არ გაგვაჩერებინეს, ახლა ამის დრო არ არის, როგორმე გავიტანთო, რას გაიტან, ხომ ხედავთ რაც მოხდა. როგორც სპეციალისტი გეუბნებით, რომ რაც მოხდა, ამას თავიდან ვერავინ აიცილებდა. უვიცობაა შეფასება, რომ რაც მოხდა, ადამიანური ფაქტორითაა გამოწვეული. ლითონის დაღლის გარდა, იქ სხვა ფაქტორებიც მრავლად არის, გრავიტაცია, წყალში ათასნაირი ქიმიური მინარევია, რაც ჭამს კონსტრუქციებს და მოქმედებს მთლიანად კომპლექსზე. ასე რომ, ადამიანური ფაქტორით აპელირება, ვიღაცის დასჯაზე საუბარი, ყოვლად გაუმართლებელი და მიუღებელია, რადგან ეს არის კანონზომიერი შედეგი კანონით უზრუნველყოფილი მოთხოვნების შეუსრულებლობისა. ხუთი ობიექტი უკვე გითხარით, კიდევ რამდენი წერტილია დაწყებული გვირაბიდან, ყველგან შეიძლება მოხდეს რაღაც ანომალია. ენერგეტიკოსები ამას ვაფასებთ, როცა უშუალოდ ხდება ძირეული შემოწმება და ანალიზი, ეს იქნება აპარატურა, გაანგარიშება, რაიმე თვალით დანახული და ა.შ. ყველაზე სერიოზული ნაგებობის ე.წ. ნატურით გამოცდაა, როდესაც წყალსაცავი და გვირაბი ბოლომდე შევსებულია, ხუთი აგრეგატი მუშაობს, წნევა, ხარჯი სრულია და ამ პირობებში როგორ „იქცევა“ ეს ნაგებობა. შედეგებს ვაანალიზებთ და ვქმნით ნორმატიულ ბაზას ექსპლუატაციისთვის. **სხვათა შორის, ენგურჰესი ბოლომდე არ არის დამთავრებული, ობიექტის მიღება არ მომხდარა. სადგური საბჭოთა კავშირის პერიოდში ჩაბარდა, მაშინ ითქვა, დროებით ექსპლუატაციაში ჩავაბაროთ და როცა კომპლექსს მთლიანად დავამთავრებთ, კომპლექსურად მაშინ გამოვცადოთო.** მაშინ არავის ეგონა საბჭოთა კავშირი თუ დაინგრეოდა, ამიტომ ნატურალური გამოცდა არ ჩატარებულა და დღესაც გაუკეთებელია. ამიტომ ჩვენ კრიტერიუმები, რომელიც უნდა დავადგინოთ და გადავცეთ ახალ თაობას, რომ იხელმძღვანელოს და მოახდინოს ნაგებობის ექსპლუატაცია, უზრუნველყოს მისი საიმედობა და ა.შ. დღესდღეობით არ გვაქვს. სახელმწიფომ დღემდე ვერ შეძლო საკანონმდებლო დოკუმენტაციის შექმნა, რომელიც ყველა სუბიექტს ავალდებულებს, რა უნდა გააკეთოს. ამიტომ ყველა თავისებურად იქცევა. ჩეხები როგორც მოეპრიანებათ, ისე იქცევიან, ჩეხეთში მიღებული რაღაც წესებით ხელმძღვანელობენ, ნორვეგიელები, როგორც თავად გაუხარდებათ და აწყობთ, ანალოგიურად იქცევიან ჩინელებიც. ქართველებს ეს კრიტერიუმები არ გვაქვს, ჩვენმა მთავრობამ იოლი გამოსავალი მონახა, მიიღო დადგენილება, რომელიც უფლებას აძლევს დამკვეთს ან ინვესტორს ის ნორმატივები გამოიყენოს, რომელიც თვითონ მიაჩნია სრულყოფილად, ანუ თავისი დანერგონ ჩვენთან. ჩემი აზრით, საქართველოს მთავრობამ ამ ვითომდა პასუხისმგებლობის მოშორებით, უდიდესი დანაშაული ჩაიდინა, პასუხისმგებლობა კი არ მოიშორა, მარყუჟში გაყო თავი. სად ჩინეთის, ნორვეგიის, რუსეთის, ჩეხეთის ნორმატივი და სად საქართველოს ნორმატივი, ჩვენთან ყველა მდინარე თავისებურია, თავისი წესი, ხასიათი, ქიმიაფიზიკა და შესაძლებლობები აქვს, რასაც მისადაგება უნდა. ამიტომ არსებობდა ჩვენი ინსტიტუტი, რომელიც ფაქტობრივად 1922 წელს, ზაჰესის მშენებლობის დროს შეიქმნა, ჩვენი აშენებულია ენგურჰესი, ჟინვალჰესი და სხვა მრავალი ჰესი. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ კვალიფიციური სპეციალისტები გვყავს ენერგეტიკაში, დღემდე ვერ მივიღეთ კანონი ენერგეტიკული უსაფრთხოების შესახებ, იმიტომ, რომ ინსტიტუცია, რომელიც ამას გააკეთებს, საქართველოში აღარ არსებობს, ყველა გაიყიდა, დაიშალა, არავის არაფერი ჭირდება. ფრაგმენტულად ვწყვეტთ საკითხებს, ეს ფრაგმენტული საკითხები მერე თავს იყრის და გამოდის ნაზავი, რომელსაც არცერთი პარამეტრი არ აქვს ნორმალური ქვეყნის და ცხოვრების პირობების შექმნისთვის. ვიმეორებ, აუცილებლად არის შესამუშავებელი ქვეყნის უსაფრთხოების კონცეფცია, სადაც ეკონომიკური სტრატეგია შეთანხმებული იქნება

ენერგეტიკულ უზრუნველყოფასთან. ენერგეტიკის გარეშე, ეკონომიკური განვითარება წარმოუდგენელია. ეს პოლიტიკაა შესამუშავებელი. ამდენს იმიტომ კი არ ვლაპარაკობ, რომ თავის გამოჩენა მინდა, 80 წლის კაცს ეს არაფერში მჭირდება, არც თანამდებობას ვეძებ. გული რომ შემტკივა ჩემს ქვეყანაზე, იმიტომ ვამბობ, ხელისუფლება რომ გქვია, რატომ არ მივჯერებ, მით უმეტეს იცი, რომ მთელი ცხოვრება ენერგეტიკაში გავატარე.

— ბატონო ანზორ, გასაგებია, რომ ენგურჰესზე მომხდარ ავარიაში ადამიანური ფაქტორები გამორიცხეთ, მაგრამ როგორ აფასებთ იქ მომუშავე პერსონალის ქმდებას ექსტრემალური სიტუაციის დროს და საერთოდ, არ ფიქრობთ, რომ ენგურჰესის ამ მაგალითზე საქართველოში ასეთი მასშტაბური ჰესების მშენებლობა სახიფათოა.

— ავარიული სიტუაციის დროს, რეაგირების ხარისხის მიხედვით ფასდება კოლექტივის პროფესიონალიზმის ხარისხი. რამდენად ოპერატიულად მოქმედებენ ის ადამიანები, რომლებიც მართავენ ამ სისტემას, რომ გააუვნებელყონ სავალალო შედეგები. ეს ამ კოლექტივმა შესანიშნავად გააკეთა, ჩაკეტა გვირაბი, გააჩერა სადგური, გადმოაქცია წყალი კაშხლის ტანიდან ქვედა ბიეფში (ენგურის კაშხლის ქვემო კალაპოტი), იქ გაუშვა და დაიწყო წყალში ჩაძირული ადგილების გამოსუფთავება ვიზუალური დაკვირვებისა და ანალიზისთვის. ეს ყველაფერი ძალიან ოპერატიულად და კვალიფიციურად გააკეთეს. ადგილზე ჰქონდათ აბსოლუტურად ყველაფერი, რაც ჭირდებოდა თ. ყველა სამუშაო ოპერატიულად ჩაატარეს და ფაქტობრივად რამდენიმე საათის განმავლობაში შევძელით, უმართავი პროცესი მართვადი გამხდარიყო, ეს იმას ნიშნავს, რომ დაიწია წყლის დონემ, 26 მაისს წყლის დონე ბოლომდე იყო დაწეული, მთლიანად გათავისუფლებული და გასუფთავებულია იქაურობა. იქაურმა ენერგეტიკოსებმა კი ყველაფერი გააკეთეს, მაგრამ ეს არსებულ პრობლემებს ვერ გადაწყვეტს. ვნახეთ, რომ სარქველი მოგლეჯილია, მისი მიდულება და სხვა დეტალების აღდგენაც შეიძლება, მაგრამ ეს იქნება დროებითი, ენგურჰესმა იმ ვადის განმავლობაში უნდა იმუშაოს, რაც პროექტით აქვს განსაზღვრული. ეს დროებითი ღონისძიება კატასტროფას აჩერებს, მაგრამ ხვალ შეიძლება სხვაგანაც მოხდეს. ამიტომ **დრო, მთავრობამ მიიღოს გადაწყვეტილება, რომ იმ პერიოდში, როცა წყალი დიდი რაოდენობითაა, ელექტროენერგიაზე მოთხოვნა ნაკლებია, რადგან ზაფხულის პერიოდია. იმ ვადით გავაჩეროთ ჰესი, რა ვადაც პოტენციურად აპარიული უბნების ლიკვიდაციას ჭირდება, რომ ჰესი მთლიანობაში მოვიდეს წესრიგში.** იმისათვის, რომ ენგურჰესი, როგორც კომპლექსი და ნაგებობა, რომელიც მსოფლიო ხელოვნური ნაგებობების სიაშია შეტანილი, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო საინჟინრო გადაწყვეტილება, აქვს უჩვეულო პარამეტრები, რომლითაც არათუ უტოლდება, არამედ ჯობნის არსებულ ელექტროსადგურებს, წესრიგში რომ მოვიდეს, ასეთი პატარ-პატარა ინექციების შეშხაპუნება არ ეყოფა. ამისთვის საჭიროა კაპიტალური გაჩერება, სერიოზული მომზადება, თანხების მოძიება, კვალიფიციური მშენებლების და მემონტაჟეების მოყვანა და შესაბამისი სამუშაოების ჩატარება. ჩვენ ადრე ყოველთვის ვიცოდით რა სამუშაოები იყო ჩასატარებელი და რა დრო ჭირდებოდა ამას. ახლა ზუსტად არ ვიცით, რადგან წლების განმავლობაში ვაკუუმი იყო, ბევრი რამ შეიცვალა, ამიტომ დეტალური შესწავლაა საჭირო. პირდაპირ ვამბობ, 1922 წლიდან აშენებული ძველი ობიექტები დღესაც ყველა გამართულად მუშაობს, ასრულებს თავის დანიშნულებას. ეს იმიტომ ხდება, რომ თავის დროზე იყო 24-საათიანი ზედამხედველობა, კონტროლი, მართვის სისტემების და თვითონ გადაწყვეტილებების მიღების სრულყოფა. ენგურჰესმა საშიშროება ხომ არ შეგვახსენაო, თუ იგნორირებას გავუკეთებთ პრობლემებს, არავითარ ზომებს არ მივიღებთ, მაშინ ეს საშიშროება რეალურია და შეიძლება ხვალვე დადგეს. არასწორად მიმაჩნია ის პოზიცია, რომ ენგურჰესმა დაღუპა სვანეთი, ტენიანობის მატებასთან ერთად, დაავადებებმაც იმატა, იმას რატომ არ ამბობენ, რამდენი სიკეთე მოგვიტანა ამ უნიკალურმა ჰესმა. მას დღემდე ათ მილიარდ კვტ/სთ-ზე მეტი ელექტროენერგია აქვს გამომუშავებული, ეს კოლოსალური რაოდენობის შეშის, გაზის, მაზუთის, ქვანახშირის დაზოგვაა, რომელთა წვაც მნიშვნელოვნად აბინძურებს გარემოს. სამწუხაროდ, ჩემმა თაობამ ვერ მოვახერხეთ ამ პროექტში ჩადებული ყველა გადაწყვეტილების ბოლომდე მიყვანა, იმიტომაც არსებობს მის მიმართ პრეტენზიები, ანაკლიის მიდამოებში ნაპირი ირეცხება, ზღვა მიწა ჭამს და პლაჟები ინგრევა, ენგურს ჰესის გამო, ინერტული მასალა (ქვა-ღორღი) აღარ ჩააქვს, რომ გამაგრდეს ზღვის ნაპირიო. გათვალისწინებული გვქონდა ეს რომ არ მომხდარიყო, მეთოდიც გვქონდა, რომელიც მთლიანად ქართველების შემუშავებულია, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის წინა პერიოდის არეულობამ, ეკოლოგიური მოძრაობის გამწვავებამ და ა.შ. ამის განხორციელების საშუალება არ მოგვცა, ფაქტობრივად არ გაგვაკეთებინეს, შუა გზაზე მივატოვეთ და მას შემდეგ ინტენსიურად ირეცხება ზღვის ნაპირი. აქ მეორე საკითხცაა, რომელიც ვერ მოგვარდა, კაშხლის ქვევით ტერიტორიაზე, ანუ ქვედა ბიეფში უსაფრთხოების პროცესები ბოლომდე არ არის მიყვანილი, როდესაც კაშხლიდან კატასტროფული ხარჯების გადმოშვების პერიოდი დგება, უნდა გახსნა ფარები და წყალი გაუშვა. ხსენებული ავარიის დროს, ზუსტად ასე მოიქცნენ ჩვენი ენერგეტიკოსები. კატასტროფული ხარჯების სიდიდეც დადგენილია და მისი გავრცელების ზონაც, ყველა სახის კატასტროფის აღკვეთა ბუნებრივია არ იყო პროექტში ჩადებული, ეს გამორიცხულია, რადგან კატასტროფა არაპროგნოზირებადია. ამას ჭირდებოდა უსაფრთხოების ღონისძიებები: სანაპიროს დაცვისთვის გამაგრებითი სამუშაოები, წყალმომარაგების, ხიდების დაცვის და ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომ მოსახლეობის არეალში არ გავრცელებულიყო კატასტროფული წყალმოვარდნებით გამოწვეული ცუდი შედეგები. ეს ვერ გავაკეთეთ, ვერ ავითვისეთ გამოყოფილი თანხები, აგრეგატების გაშვება და სხვა სამუშაო უფრო მნიშვნელოვნად მიგვაჩნდა, მერე დაინგრა საბჭოთა კავშირი და პროექტი განუხორციელებელი დარჩა. **ადამიანი ავად რომ ხდება, წამალი თუ არ მიეცი, შეიძლება იცოცხლოს, მაგრამ ვერ განიკურნება, ჩვენ ეს „წამალი“ ენგურჰესისთვის არ მიგვაცემინეს და ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი აზრი, რომ ჰიდროენერგეტიკა საქართველოს ბუნებას აჩანაგებს,** არ გვინდა ჰესები, მითუმეტეს ასეთი გიგანტებიო. ყველა საკითხი თავიდან ბოლომდე მეცნიერულად არის შესწავლილი და გაანალიზებული, ყველაფრის მოვლა-პატრონობა შეიძლება, მთავარია სახელმწიფო დონეზე იყოს ამის სურვილი.

— ბატონო ანზორ, ერთ-ერთ ადრინდელ ინტერვიუში ვისაუბრეთ, რომ ენგურის მიერ ჩამოტანილი ქვა-ღორღი კაშხალს მიღმა ვერ გადის, სადღაც რჩება და თუ ხდებოდა მდინარის კალაპოტის გაწმენდა, რომ ისეთი ტრაგედია არ დატრიალებულიყო, რის მოწმეც 2015 წლის ივნისში ვერეს ხეობაში გავხდით, მით უმეტეს, რომ მასშტაბები გაცილებით დიდია. თუ გატარდა რაიმე ღონისძიება ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად?

— აბსოლუტურად არაფერი, ინერტული მასალა კაშხლის უკან მდებარე წყალსაცავში ილექება, დალექვის ინტენსივობა შეფასებული გვაქვს — 170 წლის განმავლობაში წყალსაგდებების დონემდე შეივსება, 310 წლის განმავლობაში კი მთლიანად ამოივსება წყალსაცავი ამ მასალით. ძალიან დიდი პერიოდი კი გვაქვს დარჩენილი, ეს რომ არ მოხდეს, მაგრამ დამშვიდების უფლება არ გვაქვს. სასწრაფოდ უნდა დავიწყოთ მოქმედება, არსებობს უამრავი ხერხი, რომ ტრაგედია თავიდან ავიცილოთ და სარგებელიც მივიღოთ. ეს ინერტული მასალა მშენებლობის და ნაპირის გამაგრების გარდა, სოფლის მეურნეობაშიც შეგვიძლია გამოვიყენოთ მიწის სასუქად. მასში ასევე საკმაოდ არის ძვირფასი და იშვიათი ლითონები, ოქრო, ვერცხლი, ტიტანი, ნიკელი, ვოლფრამი. პროექტში ესეც გვქონდა გათვალისწინებული, მაგრამ საბჭოთა კავშირის ნგრევამ, ეს საკითხიც გადაუწყვეტელი დატოვა. ენგურის წყალსაცავის გარკვეულ დონემდე ამოვსების საწყის ეტაპზე ვართ, ანაკლიიდან შავი ზღვა გვიტევს, სადაც ღრმაწყლოვანი პორტი შენდება და ზღვის აგრესია უფრო იმატებს. ჩვენი შეფასებით, ყოველწლიურად 5 ჰექტარი მიწა მიაქვს ზღვას, რადგან ის „კვება“ არ აქვს, რაც მანამდე ჰქონდა, ამიტომ ეს „კვება“ აუცილებლად უნდა გაკეთდეს. დამატებით სხვა პროცესიც მიმდინარეობს, ენგურის ქვედა ბიეფში მდინარის კალაპოტის დონის აწევა ხდება, რადგან მას არ აქვს იმის ძალა, რომ კაშხლის ქვემოთ არსებული ხევების და პატარა მდინარეების მიერ ჩამოტანილი შვავი ზღვამდე გაიტანოს. ეს ჩამოშვავებული ნაკადები გზადაგზა რჩება და ენგურის კალაპოტს ავსებს. სანამ კაშხალი აშენდებოდა, ათასობით კუბმეტრი შვავი ისე გაივლიდა ენგურზე, რომ ვერავინ იგებდა, ახლა საკმარისია სამასმა კუბმა გაიაროს, რომ მოსახლობას ზარალდება, იტბორება ყანები, სახლები, ეზოები, იხრჩობა შინაური ფრინველები და პირუტყვი. ადრეც გითხარით და გავიმეორებ, კაშხლის ზემოთაც და ქვემოთაც სასწრაფოდ უნდა განხორციელდეს უსაფრთხოების ღონისძიებები, რაც ნიშნავს მდინარის მიმდებარე ტერიტორიების დაცვას, თუ ენგურის ქვედა ბიეფის ნორმალური ექსპლუატაცია არ მოხდა, ამოივსო მდინარის კალაპოტი, წყალდიდობისას შედეგად წამოსული ნაკადები ყველაფერს წალეკავს. გამოვიყენოთ ენგური ჩვენს სასარგებლოდ, ამოვიღოთ ჩამოტანილი ინერტული მასალა, ჯერ ერთი, დატბორვის საფრთხე მოიხსნება, მეორე, ინერტული მასალა მთელ მსოფლიოში დეფიციტურია, ჩვენ კი ამ მასალით და შესაბამისად სამშენებლო მასალებით ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანა ვართ, რადგან საქართველო ვულკანური წარმოშობის ზონაში მდებარეობს. **ენგურის ძვედა ბიეფში მართლაც არის საშიშროება, რომ მძიმე მოვლენები განვითარდეს, ეს ყოველ წუთსაა მოსალოდნელი. დაზუსტებით ვერავინ იტყვის, რომ ენგურზე 2500 კუბმეტრი წყალი არ წამოვა, მართალია, დადგენილია, რომ ასეთი რამ ათას წელიწადში ერთხელ მეორდება, მაგრამ არავინ იცის როდის დადგება ეს დრო.** ამ ოდენობის წყალი თუ მოვარდა, ის კაშხალზე არ დაეტევა, იძულებული ვიქნებით ფარი გავხსნათ და წყალი გავუშვათ, არადა ესეც დაძირავს იქაურობას. ერთ დღეში ვერ გავწმენდთ მდინარის კალაპოტსა და წყალსაცავს, მაგრამ დღესვე უნდა დავიწყოთ, მით უმეტეს, რომ, როგორც გითხარით, მრავალმხრივ სარგებელს მოგვიტანს. ენგურის ზედა ბიეფი მთლიანად ჩვენს კონტროლირებად ტერიტორიაზეა, ასე რომ, მდინარის კალაპოტის გაწმენდა პრობლემას არ წარმოადგენს, მთავარია პოლიტიკური ნება იყოს. მე პირადად ვთვლი, რომ ენგურზე უსაფრთხოების საკითხების მოგვარება და სამეურნეო საქმიანობის გაძლერება, კიდევ უფრო დააახლოებს ქართველებსა და აფხაზებს და შექმნის იმის წინაპირობას, რომ დღეს თუ ქართველთა 150-კაციანი ჯგუფი მუშაობს აფხაზეთის ტერიტორიაზე, 1500—2500-კაციანი გავხადოთ, ინერტულ მასალებს თუ ამოვიღებთ, მის გაყიდვაზე კი არ ვიფიქროთ, გადამამუშავებელი საწარმოები შევქმნათ და ჩვენი ხალხი დავასაქმოთ, რომ ეკონომიკა ავაღორძინოთ და განვავითაროთ. ხაზგასმით ვამბობ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაიყიდოს ეს მასალა. იგივეს ვიტყვი ენერგეტიკასთან მიმართებაში, ყველა საკითხი, რომელიც ელექტროენერგიის წარმოებასთან იქნება დაკავშირებული, იმაზე კი არ უნდა იყოს ორიენტირებული, თურქეთში გავყიდი და მეტ დოლარს ჩავიდებ ჯიბეშიო, არამედ არამედ ადგილობრივი წარმოების ამოქმედებისკენ, ჩვენი პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისკენ უნდა იყოს მიმართული.

(გაგრძელება იქნება)

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

როცა დუმილი არ არის ოქრო

ახალი „მეცნიერული აღმოჩენა“ – ლაზები და მეგრელები ქურთებისა და ებრაელების შთამომავლები არიან!

ზურაბ თორია:

სამწუხაროდ ჩვენდა, დღესდღეობით საზოგადოებაში უფრო და უფრო იმატა განუსჯელობამ და თავკერძობამ, ამ შემთხვევაშიც ძაღლიც ყეფს და ქარავანიც მიდის, მაგრამ სჯობს, ვიდრე გვიან არ არის, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას მიკიბვ მოკიბვის გარეშე და უშეღავათოდ.

მეცნიერის დიდი პრეტენზიის მქონე ვინმე ნაზი ხანიაშვილმა 2017 წლის 24 მარტის და მიმდინარე წლის 23 აპრილის „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე გამოაქვეყნა ამბიციურობისა და თავზედობის უპრეცენდენტო მაგალითებით სავსე წერილები, სადაც თავგამოდებით ამტკიცებს, რომ ლაზები და მეგრელები ქურთებისა

და მეგარელი ებრაელების შთამომავლები არიან.

ქურთებსა და მით უმეტეს, ებრაელებთან საუკუნეთა განმავლობაში კეთილისმყოფელი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა ქართველებს და ამის გამოც ჰპოვეს თავიანთი მიწა-წყლიდან ბარბაროსულად აყრილმა მათმა ნაწილმა მშვიდი ნავსაყუდელი ჩვენ მიწაზე, და ერთიც და მეორეც დადებითად აფასებს ქართველთა რჯულთშემწყნარებლობას. ამ ურთიერთობის მსგავს ნათელ მაგალითებს დედამიწის ზურგზე იშვიათად თუ მოიძებ, მაგრამ, როცა ვიღაცა აკვიტებათა გამო ხელოვნურად შეკოწიწებულ არგუმენტებზე დაყრდნობით მთელ კუთხეს, ანუ ნახევარ საქართველოს, კეთილად განწყობილ, თუმცა სხვა გენეტიკისა და მენტალობის ერებს მიაკუთვნებს, ეს უკვე ყოველგვარ ზღვარს სცილდება.

საინტერესოა, პირადად რომელი ეროვნული ნიშნის მატარებელია ეს თვითმარქვია „მეცნიერი“. ის თავის ბეჭდურ გამოცემებსა თუ სატალევიზიო გადაცემებში ამტკიცებს, ამ ცნობებს მიცვალებულები მკარნახობენ და ჩემი მოწოდებული ინფორმაციები უტყუარიაო. თუ ამის უარყოფას შეეცდება, შეგვიძლია მისი წიგნებიდან, სოციალურ ქსელში განთავსებული მასალებიდან ან ტელეგადაცემებიდან ცოცხალი მაგალითები მოვუყვანო, მაგრამ მასთან პოლემიკაში ჩართვას არაფრისდიდებით არ ვაპირებ, რადგან, როცა 2017 წლის 24 მარტის ნომერში „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე ლაზებისა და მეგრელების შესახებ მისი განმაქიქებელი ოპუსი დაიბეჭდა, 21 აპრილს ამავე გაზეთში არგუმენტებით აღჭურვილი საპასუხო წერილით: „ქართველთა კიდევ ერთი საჭირბოროტო სატკივარი“, ვუპასუხე და ვფიქრობდი, რომ იგი პრობლემის არსს ჩასწვდებოდა და ამ საკითხს მეტად არ მიუბრუნდებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ვერ ჩერდება, ან არ აჩერებენ, თორემ უნდა შეეგნო, რომ მისი „აღმოჩენა“, თითქოს კოლხური მითები სინამდვილისაგან შორს დგას და ბერძნების მიერ არის შეთხზული, კოლხეთს, როგორც სახელმწიფო წარმონაქმნს არასოდეს უარსებია და ლაზ-მეგრელებს ქართულ სამყაროსთან საერთო არაფერი აქვს, მთელი ერის წინააღმდეგ მიმართული ავანტიურაა. საუკუნეთა განმავლობაში მსგავსი აზრი საქართველოში არ გაჭაჭანებულა, ამ „პრულარიზმისა“ და განუკითხაობის გარემოში ხანიაშვილი მეცამეტე გოჭივით გამოხტა და ჰეროსტრატეს კომპლექსით შეპყრობილი, ან ვიღაცისგან შეგულიანებული, თავის აკვიატებებს ვერ ელევა. ეტყობა, ყველაფერთან ერთად, ქართველთა ბედოვლათობამდე მისული მიმტევებლობის იმედი აქვს, თორემ ასეთ რამეს არავის არსად არ პატიობენ.

მას თავისუფლად შეუძლია, რომელ მიცვალებულთანაც მოესურვება, იმასთან იმუსაიფოს, ამისი აკრძალვის უფლება არავის აქვს, მაგრამ ერთ რამეს მაინც შევნიშნავ: ამ ასაკოვანმა პირმა უნდა იცოდეს, რომ მიცვალებულთა და დიად სულთა შეწუხება საკუთარი ამბიციების გამო, უდიდესი მკრეხელობაა, ამისი ფართო საზოგადოების წინაშე განხილვა კი ორმაგი მკრეხელობა და აქედან გამომდინარე, ყველა მისი ე.წ. მეცნიერული ვერსია სწორედ მეცნიერული დასკვნების სანდოობას კარგავს, რადგან ერთმანეთში ურევს მისტიკას და შარლატანობას.

ისტორია არაერთ მაგალითს იცნობს ცრუმეცნიერთა მიერ წამოჭრილი „მსოფლიო“ პრობლემებისას, რომლებიც სულ ცოტა ხანში საპნის ბუშტივით გამსკდარან, ხანიაშვილის მსგავს მუცლითმეზღაპრეთა ნაყალბევი „კონცეფციები“ მალე დავიწყებას მისცემია, ხოლო საქართველო ის უნიკალური ქვეყანაა, რომელიც ათასწლეულებში იღებს დასაბამს, თავისი განუყოფელი კუთხეებითურთ მარადიულად იარსებებს და ამ რამდენიმე ათასწლოვანი ერთობის ეჭვქვეშ დამყენებელი ყველა „ნათელმხილველი“ ამაოდ გაისარჯება.

ამჯერად არ შეიძლება უაღრესად საგანგაშო რამ არ აღვნიშნო: რატომ გამოჰყავთ ამ ტიპის „მოღვაწეები“ ღია ეთერში, ვის ინტერესში შედის ამ სუბიექტების „კონცეფციების“ ტირაჟირება? საქართველოში საბედნიეროდ, ბევრი სახელგანთქმული მწერალი, მეცნიერი და ხელოვნების მოღვაწეა, რომელთაც დიდი ხანია, აქვთ საზოგადოების ნდობა მოპოვებული და სახელმწფოებრივადაც აზროვნებენ, მაგრამ მათ წლობით არსად აჩენენ, ხოლო ნაზი ხანიაშვილის მსგავს მუცლითმეზღაპრეებს ყველა გზა აქვს ხსნილი და პერიოდულ გამოცემებში მთელ გვერდებს უთმობენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ გამოცემების ბოლოში რედაქციები მკითხველებს მიუთითებენ, რედაქციის აზრი შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებსო, **რა ჯუყოთ იმ ფაქტს, რომ ნაზი ხანიაშვილის „არგუმენტები“ დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, ხოლო როცა ვიღაცა პირადი მაგალითით, ან ვინმეს დავალებით ერის შუაზე გახლეჩას ცდილობს, ეს ქმედება ჩემი აზრით, უმძიმესი დანაშაულის ტოლფასია და სათანადო რეაგირებას მოითხოვს.**

ძნელია აღშფოთებას დაოკება, როცა ხანიაშვილის ტირადებს კითხულობ: „ქალდეველებმა (ანუ ლაზ-მეგრელებმა, ზ.თ.) თავი დაანებეთ საქართველოში „ღმერთთან მებრძოლობის“ პოლიტიკას, ზედმეტ ამბიციებს და ამპარტავნობას და იყავით უბრალოდ ქართველები. თქვენმა ღმერთმა დღეს აქ ამ მიწა-წყალზე ქართველებთან მოგიყვანათ და დაგასახლათ, იყავით ქართველების წინაშე მოკრძალებულნი, რამეთუ თვით შემოქმედმა ღმერთმა აირჩია ისინი და თავისი ხალხი უწოდა“... „ქალდეველები – საბერძნეთის მეგარელი ლაზები (მეგრელები) ქართველთა წინაპრები ვერასოდეს იქნებიან! ეს კანონზომიერება თვით შემოქმედმა ღმერთმა დააწესა, რომლის ნების გარეშეც სამყაროში არაფერი ხდება“... „გრაკლიანის ნიშნები ქართულია და არა მეგრული“, „მეგრელ-ლაზი ქართველები ქართველთა „პროტო“ ხალხი ვერ იქნება. ქართველს „პროტო არ შეიძლება ჰყავდეს, ვინაიდან თვით სამყაროს შემოქმედი ღმერთია გენეტიკურად ქართველი...“, „კ. ფიფიას მიერ წარმოდგენილი გრაკლიანის წარწერის ნიმუშები თითქმის ძირეულად განსხვავდება პროფ. ვახტანგ ლიჩელის მიერ წარმოდგენილ ასო-ნიშანთა გამოსახულებებისაგან. ფიფია მის მიერ წარმოდგენილ გრაკლიანის წარწერის ასო-ნიშნებს კითხულობს მარცხნიდან მარჯვნივ, რაც სემიტურ-არამეული წარმომავლობის ქალდეველი მეგრელ-ლაზი ხალხისთვის უჩვეულოა. ისინი ნაწერს წერენ და კითხულობენ აუცილებლად მარჯვნიდან მარცხნივ), (რა საინტერესოა, სად ნახა მეგრელ-ლაზების მიერ მარჯვნიდან მარცხნივ ნაწერი ტექსტები ამ სუბიექტმა, ალბათ, მიცვალებულებთან, და ამაზე ისე სერიოზულად საუბრობს, თითქოს უფალო მომიტევე და, მიცვალებულთა რომელიმე კონფერენციის მასალებს ასაჯაროებდეს! (აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კუკური ფიფიას, ანუ ერთი პიროვნების მიერ წამოჭრილ, სავარაუდოდ მცდარი კონცეფციის გამო, დაუშვებელია, მთელი კუთხის მიმართ ააგორო მსგავსი ანტიეროვნული ინსინუაციები.ზ.თ), „ამას ადასტურებს ისიც, რომ მეგრელ-ლაზების უახლოესი წინაპრები ქურთები და ებრაელები არიან...“ და ამ მის „აღმოჩენასთან“ დაკავშირებით მოჰყავს გიორგი ანდრიაძის „არგუმენტები“, რომლებიც გაზ. რეზონანსში 2013 წლის 27 მაისსა და 25 ნოემბერს გამოქვეყნებულა.) „ჩემი კვლევებით, გრაკლიანის ასონიშნებით სიტყვები არ იკითხება და არავითარ მეგრულ-ლაზური კვალი არ შეინიშნება. ძალიან საეჭვოა, რომ მეგრელები 3000 წლის წინათ დღევანდელი მეგრული ენით ლაპარაკობდნენ.“, „ივ. ჯავახიშვილი ქალდეველთა შესახებ წერს: „ითრუშენას“ ანუ „ითრუჯანი“-ს ღვთაებაზე აქ არაფერს ვამბობთ, რადგან თვით წმ. ნინოს შატბერდისეული ცხოვრების ავტორსაც ქართველთა ღვთაებად არ ჰყავს მიჩნეული და მას არც სალოცავი ჰქონია საქართველოში: იგი „ქალდეველთა ღვთაებად იწოდება. მაშასადამე, ის ქართულ წარმართულ პანთეონს არ ეკუთვნის“...“, **„მეგრელები (მეგარელები) ვერავის „პროტო“ ხალხი ვერ იქნება, ვინაიდან სემიტური რასა „ქვეყნის გაჩენიდან“ დღემდე 5700 წელს ითვლის. მაშინ, როცა ქართველები ჯერ კიდევ 8000 წლის წინ ყურძენს ვწურავდით და ქვევრში ღვინოს ვაყენებდით“... „ ჩვენ, ქართველები არ დავუშვებთ, მეგარელმა სემიტებმა (მხედველობაში ჰყავს ლაზ-მეგრელები.ზ.თ.) მიითვისონ ქართული ანბანი...“**

აი, ასეთი აღმაშფოთებელი, ზღვარდაუდებელი „მარგალიტებითაა“ სავსე ნაზი ხანიაშვილის მიერ დროის გარკვეული ინტერვალით დაბეჭდილი ორივე წერილი. მას მიზნად აქვს დასახული ქართულ სამყაროს როგორმე ჩამოაშოროს ქართულივე სამყაროს განუყოფელი ნაწილი – სამეგრელო და „მეცნიერული რუდუნებით“ ცდილობს, ლაზ-მეგრელების სემიტური რასისთვის მიკუთვნებას. საიდან ეს თავდაჯერება? ჯერ ერთი, ვინ არის ის თვითონ, ან რატომ აძლევს თავს უფლებას, ლაზ-მეგრელები ქართული სამყაროსთვის უცხო ეთნოსად წარმოაჩინოს, საკუთარი თავი კი ქართული ეთნოსის კანონიერ მემკვიდრედ და მისი უფლების ყველაზე კომპეტენტურ დამცველად. შემთხვევით აკაკი წერეთლის „ღამურას“ სენი ხომ არ შეჰყრია?..

თავისი „არგუმენტის“ ერთადერთ მტკიცებად მოჰყავს ივანე ჯავახიშვილის ნაშრომის კონ-

ნაზი ხანიაშვილი: მე მაქვს კონტაქტი მიცვალებულებთან, ყველა მათგანი ქართულად მესაუბრება...

მეგრელები

ტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზა „ითრუჯანასთან“ დაკავშირებით და ერთხელაც არ ახსენებს „ოქრომრავალი კოლხეთის“ სამყაროს, მზის შვილების, აიეტისა და მედეას ხანას, რადგან მათი ებრაელებისა და ქურთების ეთნოსისადმი მიკუთვნება მისი „კონცეფციის სიმცდარეს იმთავითვე დაადასტურებდა.

მადლობა ღმერთს, ოქროს საწმისის მითი ქართველების მიერ არაა შეთხზული და მსოფლიო რანგის მკვლევარების მიერ ისტორიულ ჭეშმარიტებადაა მიჩნეული. გასულ საუკუნეში მეცნიერმა და მსოფლიო მოგზაურმა ტიმ სევერინმა, როცა „არგოს“ ასლით კოლხეთამდე ის საზღვაო მარშრუტი გაიარა, რაც არგონავტთა ოდისეაშია აღწერილი, პრაქტიკულად დაადასტურა, რომ არგონავტების მოგზაურობა ისტორიულ სინამდვილეს შეეფერება და ყველა მითს დამადასტურებელი არტეფაქტები უმაგრებს ზურგს.

ხანიაშვილი მსოფლიო რანგის მეცნიერთა მიერ დადგენილ ფაქტებს შეგნებულად არიდებს თავს, რადგან დიდი მიზანი აქვს, ამ მიზნიდან გადახვევა არ აწყობს და ამგვარი

ებრაელები

მეთოდით ცდილობს, საზოგადოების გარკვეულ ნაწილს თავისი „თამამი“ გამოხდომებით თავი დაამახსოვროს.

რაო, ბერძნებს ამ საკითხების ირგვლივ ხანიაშვილზე ნაკლები ცოდნა ჰქონდათ და არ იცოდნენ კოლხეთისკენ რისთვის მოემართებოდნენ? საქმე ისაა, რომ ისინი ამ ნაბიჯის გამართლებას საუკუნეებია ცდილობენ, მაგარამ მათ თვითონ ისტორიამ გამოუტანა განაჩენი და დაამტკიცა, რომ სხვის საუნჯეთა მიმტაცებელი ერი სრულ კეთილდღეობასა და ბედნიერებას ვერასოდეს ეღირსება... და ხანიაშვილი, ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები რომ მიაფუჩეჩოს, წინასწარ თავს იზღვევს, სამი ათასი წლის წინ საეჭვოა, მეგრელები დღევანდელ მეგრულზე მეტყველებდნენო, და ლაზ-მეგრელთა და კოლხთა იდენტობასა და მემკვიდრეობითობას იმთავითვე გამორიცხავს... ან როგორ შეეხება არანაკლებ მნიშვნელოვან პროცესებს, რასაც ადგილი ჰქონდა წარმართული ხანისა და შემდგომ, გაქრისტიანების გზაზე შემდგარი საქართველოს ბობოქარ ისტორიაში. საინტერესოა, რატომ არ ახსენებს სხვადასხვა მწვალებლური ჯგუფების მცდელობებს, გაბატონებულიყვნენ ქართულ სივრცეში, რათა ერი მათთვის სასურველ გზაზე დაეყენებინათ. ამავე წარმატებით შეიძლებოდა კოლხებისთვის წარმართულ მისტერიების ტრადიციის, კერძოდ კი ჭყონის (მუხის) კულტის მადიდებელი ვინმე უცხო (მიუხედავად იმისა, რომ ეს ყოვლად გამორიცხულია.ზ.თ.), ხალხის ნათესაობა დაებრალებინა, ან ეგრისში კათოლიკე ბერების მოღვაწეობის გამო მეგრელ-ლაზები იტალიელებად შეერაცხა, რით არიან სხვებზე ნაკლები, ხოლო აგერ, ჩვენს რეალობაში, მთელი საქართველოს მასშტაბით ყოველ ქუჩაზე ახეტებულ იეღოველთა სექტის მაგალითზე, რომელთაც, სამწუხაროდ, კანონი იცავს და სულებზე ნადირობის აქტიური ბრძოლა აქვთ გაჩაღებული, ქართველები ამერიკულ ან სექტანტთა შემომგზავნი ქვეყნის ეროვნულ წარმონაქმს მიაკუთვნოს. მაგრამ მშვენივრად იცის, დიდი ავანტიურის დასატრიალებლად, რაც უფრო დიდ სიცრუეს ააგორებს, მისთვის უფრო ხელსაყრელია, და ვიღაცის დავალებით, იმ კუთხეს უმიზნებს, რომელზეც თავის დროს ილია ჭავჭავაძემ ბრძანა, სამეგრელოში ვიყავი და ნამდვილი საქართველო აქ ვნახეო... და ამჯერად აუცილებლად უნდა მოვუხმო ერთი ხალხურ სიბრძნეს: „ეგრე არაა თაყაო, შენ რომ მამული გაყაო!..“

ქურთები

მისი „ნაღვაწები“ იმის საბაბს იძლევა, ვიფიქრო, რომ ამ პერსონას საქართველო ჩალით ჰგონია გადახურული. მას არც ერთი ქართველი მეცნიერი არაკომპეტენტურობის გამო პასუხის ღირსად არ ცნობს, და აქედან გამომდინარე, ეტყობა, გაუმყარდა აზრი იმისა, რომ მისი ნაცოდვილარი სრული ჭეშმარიტებაა. მაგრამ მისდა სამწუხაროდ, ქართული აზროვნება არასოდეს ისე არ დაკნინდება, რომ ნაზი ხანიაშვილისა და კიდევ თითზე ჩამოსათვლელი ანგარებიანი შარლატანის ამარა დარჩეს, რომელთაგან ერთ-ერთს, ვინმე ფირცხელავას „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის თარიღი სხვა დროსა და სხვა სივრცეში გადააქვს და გაუთვითცნობიერებელი მკითხველი შეცდომაში შეჰყავს.

საინტერესოა, როდის ამოიღებთ ხმას ზოგადად ისტორიის და კონკრეტულად ლიტერატურის ისტორიის მკვლევარებო. თქვენი სეფე სიტყვა ბრძანეთ რეგალიებმოხვეჭილო პროფესორებო და აკადემიკოსებო, როდემდე აპირებთ სირაქლემას პოზაში ყოფნას, ვითომ ამ დილეტანტებს თავს როგორ გავუყადრებთო... ნუ გაუყადრებთ თავს, მაგრამ ნურც გაუჩუმდებით, რადგან დუმილი ყოველთვის არ არის ოქრო, პირიქით, ის ხშირად თანხმობის ნიშანია. ადექით და პირუთვნელი არგუმენტებით გამყარებული პასუხი გაეცით ამ ვიღაცის მიერ დაქირავებულ ვითომ მეცნიერებს. საბუთი გნებავთ? ხანიაშვილის წერილები ნათელი ნიმუშია აშკარა დილეტანტიზმისა, დროში ემთხვევა და უნისონში მოდის ამასწინათ ზუგდიდში გამართულ მომიტინგეთა მოთხოვნასთან, სამეგრელოს ავტონომიზაციასთან დაკავშირებით. აშკარაა, ვიღაცა სხვადასხვა გზებით ცდილობს თავისი ავი ზრახვების ბოლომდე მიყვანას და ეს იდეა აფხაზეთში თავმოყრილი და ნახტომის სამზადისში მყოფი, დაფინანსებული და ყოველგვარ პროვოკაციაზე წამსვლელი ჯგუფებიდან მომდინარეობს.

ჩემი აზრით, ხსენებულ საკითხებზე შესაბამისმა სამსახურებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ, რადგან ამ ქმედებებში საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესები იკვეთება და თუ სახელმწიფოს ძალა შესწევს, წინ უნდა აღუდგეს ამგვარ ანტისახელმწიფოებრივ, მიზანმიმართულ გამოხდომებს.

რედაქციებს კი მოკრძალებით ვურჩევდი: ნაზი ხანიაშვილი და სხვა „წინასწარმეტყველები“ და „გურუები“, როგორც ჩანს, მათ ნდობასა და კეთილგანწყობას ბოროტად იყენებენ. თუ კეთილს ინებებენ, ძველ ტრადიციას გაიხსენებენ და პრობლემურ და საეჭვო შინაარსის წერილებს სარეცენზიოდ შესაბამისი დარგის სწავლულებს გადასცემენ, უხერხულობას უეჭველად აიცილებენ თავიდან.

ინტერნეტის იშვიათი მომხმარებელი ვარ, მაგრამ ამ წერილისთვის ხანიაშვილის პოსტს რომ ვეძებდი, წავაწყდი გვერდს, რომელმაც ჩემში საშინელი გულისწყრომა აღძრა: პროფესიონალი ფოტოგრაფის მიერ გადაღებულ ფერად ილუსტრაციაზე მცხეთის ჯვარი, მტკვრისა და არაგვის შესართავთან საქართველოს უძველესი დედაქალაქი – მცხეთა, ქართული ქრისტიანობის ბურჯით – სვეტიცხოველით, სამთავროს მონასტრით, ბებრის ციხითა და მთელი რიგი კომპლექსებით... იყო განფენილი და ინგლისურ ენაზე, შთამბეჭდავი მხატვრული შრიფტით, არც მეტი, არც ნაკლები, „ამშვენებდა“ სათაური – არმენია.

იქნებ მოიძიოთ, ბატონებო, ინტერნეტში ეს ფოტო. თუ თქვენ იმის მტკიცებას მოჰყვებით, რომ ეს შემთხვევით ხდება და ყურადღების ღირსი არაა, ვერ დამარწმუნებთ, რადგან სამყაროში ყველაფერი მკაცრ კანონზომიერებას ემორჩილება. ვინც ეს ჩაიდინა, მას აქვს მიზანი, რისი ერთ-ერთი უდიდესი ქმედითი იარაღია სოციალური ქსელი და მისი რეკლამა, რაც ადამიანის გონების შრეებში სამუდამოდ ილექება და ვინ იცის, ნელი მოქმედების ნაღმივით როდის იფეთქებს. უკიდურეს შემთხვევაში, გაიხსენეთ აფხაზეთი, სადაც ამგვარმა წყრუებებმა და მსგავსი დანაშაულის ტოლფასმა ქმედებებმა ქვეყანა კატასტროფულ მდგომარეობამდე მიიყვანა. დღეს მისი ძირძველი მოსახლეობის უმრავლესობა აფხაზეთიდან დევნილია, ხოლო სამურზაყანოში ჩარჩენილები უუფლებო უცხოტომელებადაა გამოცხადებული, უმძიმეს, დამამცირებელ პირობებში უხდებათ არსებობა და ვერც მსოფლიო საზოგადოების „შეშფოთებები“ თუ ზერელე დაპირებები ცვლის ეთნიკური კუთვნილობის გამო მონობასთან გათანაბრებულ, გაუსაძლის ყოფას.

სანამ გვიან არ არის, დროა, ზემოთჩამოთვლილ თავკერძობებს საკადრისი პასუხი გაეცეს და ყველაფერს ნათელი მოეფინოს.

ეს ჭეშმარიტ მეცნიერთა მოქალაქეობრივი ვალია.

იდეოლოგიური დივერსია ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ, ანუ ხანიაშვილის ხილვები

— იდეოლოგიური დივერსია ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ! — მხოლოდ ასე შეიძლება შეფასდეს ნაზი ხანიაშვილის პუბლიკაციები, რომლებიც გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა.

ეს პუბლიკაციები არაფრით არ განსხვავდება დუგინის და სხვა რუსი პოლიტოლოგების პუბლიკაციებისგან, სადაც პირდაპირ არის საუბარი იმის შესახებ, რომ მეგრელები არ არიან ქართველები და ისინი აუცილებლად უნდა გათავისუფლდენენ დამპყრობელი ქართველების უღლისაგან.

ხანიაშვილი არ არის მარტო, სამწუხაროდ, საქართველოში სხვა ხანიაშვილებიც მრავლად არიან, რომლებიც თავიანთი ფსევდომეცნიერული კვლევებით მიზანმიმართულად აღიზიანებენ და შეურაცხყოფას აყენებენ სამეგრელოს და მის მოსახლეობას, რომელიც სრულიად კანონზომიერად თვლის თავის თავს ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთ დამფუძნებლად და საძირკვლის ჩამყრელად.

შეიძლება ვინმეს ჰგონია, რომ არ ღირს სერიოზული მნიშვნელობა მიანიჭოს ხანიაშვილების, ფუტკარაძეების, ჯაფარიძეების და მათნაირების პროვოკაციულ გამოხტომებს.

ცდებით, ბატონებო, ძალიან მწარედ ცდებით, რადგან სწორედ ასეთი პუბლიკაციები ასრულებენ მაპროვოცირებელ როლს იმ სეპარატისტული შეფერილობის ახალ-ახალი ჯგუფების აღმოსაცენებლად, რომლებიც მეგრული ენისთვის რეგიონული ენის სტატუსის მინიჭებას და ეკლესიებში წირვა-ლოცვის მეგრულ ენაზე ჩატარებას მოითხოვენ.

თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ სამეგრელო დღეს, ფაქტობრივად, ფრონტის წინა ხაზზე იმყოფება, საიდანაც ერთი ხელის გაწვდენაზე რუსეთის ჯარი დგას, ადვილი მისახვედრია, რომ ასეთი პუბლიკაციები სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქართულ სახელმწიფოებრობას.

ცეცხლს ნუ ვეთამაშებით, ძვირფასო მეგობრებო და ნურც იმ ადამიანების ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს დავუხუჭავთ თვალს, რომლებიც ცეცხლზე ნავთს ასხამენ.

ამგვარ მავნებლობაზე და ამ მავნებლებზე მხოლოდ მეგრელები და სამეგრელო კი არ უნდა რეაგირებდეს, არამედ, პირველყოვლისა, უსწრაფესად უნდა რეაგირებდეს ქართული სახელმწიფო, მისი ხელისუფლება, შესაბამისი სტრუქტურები, რადგან ყველაფერი ეს სწორედ რომ ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ არის მიმართული.

ვინც ერის გახლეჩას, ქართველთა ერთიანობაში ბზარის გაჩენას ცდილობს, ვინც გაუცხოების, უნდობლობის, შუღლის პროცესების გაღვივებას უწყობს ხელს, ის საქართველოს მტერია, ის საქართველოს მტრების ფარული მოკავშირეა და მას ისე უნდა მოეკითხოს, როგორც მტერს.

ნაზი ხანიაშვილი აცხადებს, რომ ყოველღამე მიცვალებულებს ესაუბრება, რაც გონივრულ ეჭვს ბადებს, რომ ეს ქალბატონი, შეიძლება, მთლად საღ ჭკუაზე არ იყოს.

მივმართავთ შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს — თუ ეს ქალბატონი ნორმალური არ არის, უმკურნალეთ, თუ პროვოკატორია, ესეც გაარკვიეთ და ისე უმკურნალეთ, როგორც პროვოკატორებს მკურნალობენ

და კიდევ ერთი თხოვნა: ხანიაშვილთან ერთად, ნურც სხვა „ავადმყოფებს“ დაივიწყებთ და იმათაც ისე „უმკურნალეთ“, როგორც ამას სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონები მოითხოვს.

ვახტანგ ხარჩილავა,
მწერალი, „საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორი
593 44 04 01

ძლიერი რეგიონები

თეთრიწყარო

26 მაისი თეთრიწყაროში გრანდიოზულად აღინიშნა

მუნიციპალიტეტში „კულტურისა და საბიბლიოთეკო დაწესებულებების გაერთიანების - კულტურის ცენტრის“ ორგანიზებით და ცენტრთან არსებული შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით დამოუკიდებლობის აღდგენის დღე გრანდიოზულად აღინიშნა.

ქალაქის ცენტრში ღონისძიება დილის 12 საათზე საქართველოს ჰიმნით გაიხსნა. დამოუკიდებლობის დღე შეკრებილ საზოგადოებას მიულოცეს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა. მოეწყო ფოტომასალებისა და ხელოვნების ნიმუშების გამოფენა.

დამოუკიდებლობის დღე ჩოხატაურში

ჩოხატაურში დამოუკიდებლობის აღდგენიდან 100 წლისთავი მრავალფეროვანი ღონისძიებებით აღინიშნა: მოეწყო საზეიმო მსვლელობა, გაიმართა ადგილობრივ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა, საზეიმო კონცერტში მონაწილეობდნენ როგორც მოზრდილთა, ისე ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლები, დააჯილდოვეს სპორტული ასპარეზობების გამარჯვებულები.

შეკრებილებს დამოუკიდებლობის დღე და პირველი რესპუბლიკის საიუბილეო თარიღი მიულოცა მუნიციპალიტეტის მერმა ირაკლი კუჭავამ.

პირველი რესპუბლიკის 100 წლისთავი დედოფლისწყაროში

დედოფლისწყაროს კულტურის სახლში ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მონაწილეობით გალა-კონცერტი გაიმართა.

მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა „პურის, ღვინისა და ფოლკლორის“ ფესტივალსა და სპორტულ ასპარეზობებში გამარჯვებულები დაჯილდოვა.

მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში განსაკუთრებული წვლილისთვის დაჯილდოვდნენ ცარო მარტიაშვილი, დალი ელისაშვილი და ნინო ნიკვაშვილი.

ფესტივალებში აქტიური მონაწილეობისთვის დაჯილდოვდა დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლაც.

ლაგოდეხი – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლის იუბილე

მუნიციპალიტეტში გამართულ მრავალფეროვან კულტურულ ღონისძიებებს მერი ჯონდო მდივნიშვილი მოადგილეებთან ერთად დაესწრო.

ქალაქის ცენტრში გაიმართა საზეიმო მსვლელობა, გამოფენილი იყო ხელნაკეთი ნივთები და დამოუკიდებლობის 100 წლისადმი მიძღვნილი ფოტოები, სკოლის მოსწავლეებმა ზეიმის მონაწილეებს გაახსენეს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ისტორიული ფაქტები.

ზეიმი გრანდიოზული ფეიერვერკით დასრულდა.

გურჯაანი – 100 წელი საქართველოს დამოუკიდებლობიდან!

გურჯაანში, დიდების მემორიალთან, საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავი მრავალფეროვანი ღონისძიებებით აღინიშნა:

წარმოდგენილი იყო დამოუკიდებლობის თემაზე მუზეუმებში დაცული ექსპონატები, რომლებითაც გაცოცხლდა საქართველოს ისტორია 1918 წლიდან დღემდე.

მოეწყო ხალხური რეწვის ნამუშევრებისა და ნახატების გამოფენა. ადგილობრივმა მეწარმეებმა საკუთარი პროდუქცია გამოფინეს გასაყიდად.

ინსცენირებით გააცოცხლეს 100 წლის წინანდელი ამბები, ხელი მოაწერეს დამოუკიდებლობის აქტს.

გურჯაანი

საზეიმო ღონისძიებას გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატი დავით სონღულაშვილი, გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერი არჩილ ხანდამაშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ.

ჩოხატაური

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლისთავი სიღნაღში

ამ საზეიმო თარიღს წინ უსწრებდა იუბილესადმი მიძღვნილი კვირეული. ზეიმში ყველა თაობის სიღნაღელები მონაწილეობდნენ. 26 მაისს დილა დაიწყო მუნიციპალურ თეატრში გამართული საბავშვო ზღაპრების წარმოდგენით, დავით აღმაშენებლის მოედანთან არსებულ სკვერში გაიმართა ტრადიციული სახალხო ზეიმების შეუცვლელი შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. მოგვიანებით მსვლელობა მოეწყო ქალაქის ცენტრში, შუადღისას კი დიდი კონცერტი გაიმართა ადგილობრივი და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოწვეული ანსამბლების მონაწილეობით

დუშეთში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლისთავი აღინიშნა

საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტების მსგავსად, დამოუკიდებლობის დღე დუშეთიც განსაკუთრებულად აღნიშნეს. ტრადიციულად, ქალაქში გაიმართა სხვადასხვა კულტურული და სპორტული ღონისძიებები, რომლებსაც მოსახლეობასთან ერთად ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

ამ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები ქალაქში სპორტული ასპარეზობებით დაიწყო: ტურნირები გაიმართა ჭიდაობასა და ჭადრაკში. ჭიდაობის ტურნირში მუნიციპალიტეტის სხვადასხვა კუთხიდან 70-მდე ახალგაზრდა სპორტსმენი მონაწილეობდა, გამოვლინდნენ გამარჯვებულები.

ი. ზაქაიძის სახელობის ქ. დუშეთის კულტურის სახლში გაიმართა სადღესასწაულო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ადგილობრივი შემსრულებლები, ხოლო საზეიმო დღე ქ. დუშეთში სახელოვნებო სკოლის მოსწავლეების კონცერტით დასრულდა. მთელი დღის განმავლობაში ქალაქის შემოსასვლელში გამოფენილი იყო ქ. დუშეთის სახელოვნებო სკოლის ხატვის წრის მოსწავლეთა ნამუშევრები, რომლებმაც მოსახლეობის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა.

26 მაისი ზუგდიდში გრანდიოზული ღონისძიებებით აღინიშნა

დამოუკიდებლობის 100 წლისთავი ზუგდიდში განსაკუთრებულად და მასშტაბურად აღინიშნა.

ზუგდიდის მთავარ მოედანზე გააცოცხლეს ორი ეპოქა: საქართველო 100 წლის წინ და ახლა. ისტორიულ ზონაში მოეწყო 1918–1921 წლების მოვლენების ამსახველი დოკუმენტების მუზეუმი, ღია კინოთეატრი, სადაც შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დამზადებული დოკუმენტური ფილმების, ხოლო ბავშვებისთვის მულტფილმების ჩვენება გაიმართა.

დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში მონაწილეობდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ლევან შონია, ზუგდიდის მუნიციპლიტეტის მერი ლაშა გოგია, საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა წოწერია და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

26 მაისი ფოთის მუნიციპალიტეტში

ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმმა უმასპინძლა თემატურ გამოფენას, სახელწოდებით „ისტორიის კვალდაკვალ“, ხოლო ქალაქის საბიბლიოთეკო გაერთიანებამ საუკუნისწინანდელი ბიბლიოგრაფიული გამოცემები გამოფინა.

ფოთში გამართულ ღონისძიებებში მონაწილეობდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი. მან ქალაქის მერთან გოჩა კურდღელიასთან, საკრებულოს თავმჯდომარესთან ირაკლი კაკულიასთან, ხობისა და ფოთის მიტროპოლიტ მეუფე გრიგოლთან და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, ქალაქის ცენტრალური პარკში საგამოფენო სივრცეები დაათვალიერა და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადების იმიტირებულ ჩვენებას დაესწრო.

ძლიერი საქართველოსთვის

მარტვილი

დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილე მარტვილში

მუნიციპალიტეტში საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლის იუბილე საზეიმოდ აღინიშნა. გაიმართა კულტურული და სპორტული ღონისძიებები, რომლებსაც მარტვილის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ხელისუფლების წარმომადგენლებმა მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას ბიუსტები და დაღუპულთა ხსოვნის მემორიალი გვირგვინებით შეამკეს, აქვე კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრთან არსებული მხატვრული კითხვის წრის მოსწავლეებმა წარმოადგინეს ლიტერატურულ-შემეცნებითი კომპოზიცია. კულტურის სახლში გაიმართა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების წრეების ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა, ხოლო საჯარო ბიბლიოთეკაში - ამ დღისადმი მიძღვნილი თემატური გამოფენა.

დღის ბოლოს კულტურის სახლში გაიმართა საზეიმო კონცერტი ადგილობრივი შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობით.

დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლისთავი სენაკში

საიუბილეო ღონისძიებები სენაკის ცენტრალურ მოედანზე სამხედრო ტექნიკის გამოფენით დაიწყო. აქვე მოეწყო ფოტოგამოფენა „დამოუკიდებლობის ქრონიკები 1918–1921“ და სენაკელი ფოტოხელოვანის, გიორგი ნიკოლავას ნამუშევრების გამოფენა „საქართველო არის ესე“. სპეციალურად მომზადებულ ბანერზე - „ჩემს სამშობლოს ვუსურვებ“ - მოქალაქეები გამოხატავდნენ თავიანთ თვალთახედვას ქვეყნის მომავლის შესახებ.

მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა პატივი მიაგეს საქართველოს ეროვნული გმირის, ჟიული შარტავას ხსოვნას და გვირგვინებით შეამკეს მათი ბიუსტები.

დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილე ჩხოროწყუში

საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან და საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით კულტურულ-სპორტული ღონისძიებები მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა მუნიციპალიტეტში.

ღონისძიებების დასასრულს, დაბის ცენტრში, ღია ცის ქვეშ, გაიმართა გალა-კონცერტი ცეკვისა და სიმღერის ადგილობრივი ანსამბლების მონაწილეობით. შეკრებილებს სიტყვით მიმართეს და დამოუკიდებლობის დღე მიულოცეს მუნიციპალიტეტის მერმა დათო გოგუამ, საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ესებუამ და წალენჯიხისა და ჩხოროწყუს მაჟორიტარმა დეპუტატმა გოგა გულორდავამ. 1990 წლის უზენაესი საბჭოს წევრმა, ისტორიკოსმა ანზორ სიჭინავამ ვრცლად ისაუბრა 26 მაისის მნიშნელობაზე.

ბოლნისის მუნიციპალიტეტში დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილე აღნიშნეს

ასე ერქვა წარმოდგენას, რომელიც საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლის იუბილეს მიეძღვნა.

დმანისი

1918 წლიდან დღემდე, საქართველოს ისტორიის ფურცლებს უამრავი ადამიანის სახელი, ფაქტი და მოვლენა ახსოვს. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები (კირიონ მეორე, ამბროსი ხელაია), ქაქუცა ჩოლოყაშვილი და შეფიცულთა რაზმი, „ცისფერყანწელები“, გენერალი მაზნიაშვილი, მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია - ეს იმ საზოგადო მოღვაწეთა არასრული ჩამონათვალია, რომელებმაც საქართველოს დამოკიდებლობის იდეისთვის ბრძოლაში დათმეს სიცოცხლე.

დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლისთავი დმანისში

დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი დასკვნითი საზეიმო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ფოლკლორული ანსამბლები „შგარიდა“, „ირინოლა“, „დმანისური აისი“.

მოზეიმეებს 26 მაისი და დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლის იუბილე მიულოცა დმანისის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ტატუაშვილმა.

დამოუკიდებლობის დღე მარნეულში

ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე წარმოდგენელი იყო სხვადასხვა კულტურული, სპორტული ღონისძიება და თემატური გამოფენები.

ამ დღისთვის სახელდახელოდ წარმოდგენილი თემატური პავილიონები მუნიციპალიტეტის მერმა თემურ აბაზოვმა, საკრებულოს თავმჯდომარემ ამირან გიორგაძემ, გუბერნატორის მოადგილესთან ერთად დაათვალიერეს და მოსახლეობას საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილე მიულოცეს.

მერმა მისასალმებელი სიტყვით მიმართა მოსახლეობას და აღნიშნა: „საქართველოს წინ დიდი და ნათელი მომავალი აქვს და მე მჯერა, რომ საქართველო აუცილებლად აღიდგენს ტერიტორიულ მთლიანობას. აუცილებლად დადგება დღე, როცა ჩვენი აფხაზი და ოსი ძმები ისევ ერთი ქვეყნის ქვეშ ვიქნებით და ვილაპარაკებთ საერთო ენაზე, ისევ ვიცხოვრებთ გამთლიანებულ და ძლიერ საქართველოში!“

წარმოდგენილი იყო სამხედრო ტექნიკის გამოფენა, სპეციალურად ამ დღისთვის დამონტაჟდა ქართული პავილონი, სადაც გამოფენილი იყო ტრადიციული სამოსი, მოეწყო მარნეულის საჯარო ბიბლიოთეკის და ანბანის კუთხეები, გაცოცხლდა ძველი თბილისის ქუჩა თავისი მახასიათებლებით.

კულტურის სახლის მიმდებარე სკვერში მუხის ხის ნერგი დარგეს, როგორც ძლიერი და გამთლიანებული საქართველოს სიმბოლო.

დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლისთავი წალკაში

საქართველოს პირველი რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართა წალკის მუნიციპალიტეტში. დღესასწაულის მონაწილეებს ეს დღე მიულოცა მუნიციპალიტეტის მერმა ილია საბაძემ.

გაიმართა სადღესასწაულო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა თაობის შემსრულებლები, ხალხური სიმღერებისა და ცეკვის ანსამბლების წევრები. მოზარდებმა წაიკითხეს პატრიოტული ლექსები.

სენაკი

წალკა

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲡ ᲜᲐᲠᲙᲝᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲝᲛᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ

ინდურად – ნაჯა ნიშნავს სათვალიან ასპიტს – კობრას. როგორც ჩანს ეს შავი ბარონესა ცდილობდა ბოლომდე შესულიყო თავის მისტიურ როლში და სათვალიანი ასპიტის იმიჯით კიდევ უფრო შთამბეჭდავი ყოფილიყო

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ. ᲘᲮ. „ᲡᲒ“ N19)

— ბატონო დიმა, თქვენ ერის გამრყვნელებს ღია ბრძოლა გამოუცხადეთ. რა კეთდება ამ მიმართულებით?

— დიახ, ჩვენ მოვიგეთ სასამართლო პროცესი კომპანიის წინააღმდეგ, რომელმაც პრეზერვატივებზე წმინდანთა გამოსახულებები გამოსახა. ამით პერსპექტივა ჩავუყარეთ სხვა პროცესებს. ერთ-ერთი მათგანი იქნება კაფე „გალერის“ საქმე. ეს კაფე მდებარეობს ყოფილ ეკლესიაში, რომელიც 30-იან წლებში გადაცემული იქნა სამეურნეო ნაგებობად. სახელმწიფოს ვალდებულებაა ეს ქონება დედა-ეკლესიას დაუბრუნოს. მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი ეხება კლუბ „ბასიანს“. მოვიპოვე ექსკლუზიური ინფორმაცია, რომ ეს კლუბი იყო არამხოლოდ ნარკოტიკული საშუალებების გასაღების ხელსაყრელი ლოკაცია, არამედ იქ, იმართებოდა გეი-ორგიები, იყო პროსტიტუციის ბუდე, რაც სისხლის სამართლის კანონით დასჯადია. მინისტრი გახარია საქმის კურსში ჩავაყენეთ და ვიმედოვნებთ, რომ „ბასიანზე“ აუცილებლად მივიტანთ ლეგიტიმურ იერიშს. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ კლუბი განთავსებულია ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ ტრიბუნის ძირში და რაც ყველაზე უფრო ტრაგიკული და სამარცხვინოა ოლიმპიური სტანდარტების საცურაო აუზის ტერიტორიაზე. ანუ მათი საცეკვაო კლუბი არის ყოფილი ე.წ. ლიაგუშატნიკი — საბავშვო აუზი, ხოლო დიდი საცეკვაო დარბაზი — დიდი აუზი. საერთოდ, მთელს მსოფლიოში ელექტრონული მუსიკის პოპულარობა ღამის კლუბების პოპულარობამაც განაპირობა. ეს ქმნის აუცილებლობას, რომ ადამიანმა 12-საათიანი ცეკვა შეძლოს, რისთვისაც იყენებენ ე.წ. სტიმულატორებს, კლუბურ ნარკოტიკებს. ისეთ ქვეყნებში სადაც ნარკოტიკული საშუალებების დეკრიმინალიზაცია მოხდა, მაგალითად, ჩეხეთში და პორტუგალიაში, ასეთი ტიპის ნარკოტიკების მოხმარებამ კი არ იკლო, არამედ პირიქით, ათას-ასჯერ გაიზარდა. ჩვენთან, ეს უმსგავსობა ხდება დინამოს სტადიონზე — საქართველოს მასშტაბით სპორტულ გამაჯანსაღებელ მთავარ ცენტრში. მივმართავ ბატონ გახარიას: ამ კლუბმა არსებობა უნდა შეწყვიტოს. მით უმეტეს, რომ „ბასიანი“ 2019 წლამდე მისი მესვეურებისთვის ქვეიჯარით არის გადაცემული და არენა დინამომ უნდა იზრუნოს, რომ ეს კონტრაქტი აღარ გაგრძელდეს. მეიჯარეს უნდა მოვთხოვოთ დაგვიბრუნოს საცურაო აუზი, სადაც ახლა სოდომ-გომორის განვითარების მთავარი არეალია. უნდა გითხრათ, რომ ნეო-ლიბერალები აგონიაში არიან. მათი დრომოჭმული იდეოლოგია სრულ კრახს განიცდის. რუსთაველის გაშზირზე ვიხილეთ, თუ რა დღეში აყენებს ეს იდეოლოგია ადამიანს. ეს ადამიანები თავისუფლებას ნარკორელიგიასთან აიგივებენ, ნარკოტიკულ თრობას მესამე თვალის ახელას ეძახიან. ნეო-ლიბერალთა გეგმაა ხელისუფლება რევოლუციის გზით შეიცვალოს, რაც მიუღებელია. ასეთ შემთხვევაში არსებული სისტემა ტირანიით შეიცვლება, რომელიც ლეგიტიმური მიზნების მიღწევიდან გამომდინარე ქვეყანაში რეპრესიებს გამოაცხადებს როგორც ნორმას. ნებისმიერი განსხვავებული აზრის ჩახშობა მოხდება. სწორედ იმიტომ არის, რომ ლიბერალებმა ჩემს წინააღმდეგ ფართო ფრონტი გახსნეს. ერთ-ერთი ვარ მათ შორის, ვინც ამ უმსგავსობის წინააღმდეგ ერთობა გამოაცხადა. აქვე ერთსაც გეტყვით: დღეს გახლავართ არასამთავრობო ორგანიზაციაში, რაც მათთვის საბაბი აღმოჩნდა დამაკავშირონ ფაშიზმს, ხოლო ქართულ-რუსული ურთიერთობების საზოგადოებრივი ცენტრი — ფაშიზმის დაფინანსების წყაროებს. ჩვენი ორგანიზაცია ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას, გვაქვს რუსული ენისა და ლიტერატურის უფასო შემსწავლელი კურსები, რასაც ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები ასწავლიან, ვმუშაობთ საუნივერსიტეტო დიპლომატიის განვითარებაზე. საზოგადოებრივი მოძრაობები რჩება ერთადერთი ხიდი, ძაფი იმისთვის, რომ სახალხო დიპლომატიის განვითარების გზით მაინც შევძლოთ ქართველ და რუს ხალხს შორის ურთიერთობის შენარჩუნება, რათა პოლიტიკოსები გონს მოეგონ. ტერიტორიული მთლიანობა აღსადგენია, რაც უმთავრესი პოლიტიკური ამოცანაა. კარი ყოველდღიურად იხურება, უფლება არ გვაქვს აფხაზეთმა ყირიმის ბედი გაიზიაროს. განგაშის ზარები უნდა დავარისხოთ, ამიტომაც ვარ აქ, რომ ეს არ მოხდეს და მაქსიმალურად შევინარჩუნოთ დიპლომატიური ურთიერთობები.

ᲜᲐᲯᲐ ᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

— ბატონო დიმა, ახალგაზრდობის გამოსვლები, აქციები ყოველთვის დედა ენის შენარჩუნებას, დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას უკავშირდებოდა. ახლა კი, აქცია ნარკოტიკების თავისუფლად მოხმარების უფლების მოპოვებისთვის გაიმართა. რამ განაპირობა ასეთი ტრანსფორმაცია და სად არის ახალგაზრდობის ის ჯანსაღი ნაწილი, რომელიც ქართული ღირებულებების, ფასეულობებისთვის იბრძოლებს?

— ძალიან საინტერესოდ დასმული აქცენტია გამომდინარე იქედან, რომ ჩვენ, რუსთაველის გამზირზე ახალგაზრდების საკმაოდ დიდი რაოდენობა ვნახეთ. მათი სპონტანურად გამოყვანის შესაძლებლობა ჰქონდა იმ სამოქალაქო პოლიტიკურ პლატფორმას, რომლის შესახებ კლუბ „ბასიანის“ მენეჯერი ნათია ორაშვილი ღიად საუბრობს. იგი აცხადებს, რომ ღამის კლუბი „ბასიანი-ხორუმი“ არის პოლიტიკური შინაარსის გუნდი, რომელიც მიზნად ისახავს პოლიტიკურ პლატფორმად ჩამოყალიბდეს მას შემდეგ, რაც რამოდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია პოლიტიკური მიზნებისთვის ერთმანეთთან თანამშრომლობას გადაწყვეტს. „ბასიანი“, თავისი კონცეფციით, ახალი ადამიანის გამოყვანის იდეას ემსახურებოდა. სწორედ იმ ახალი ადამიანისა, რომელიც ნარკოტიკების თრობით ზომბირებული, სექს-ორგიებითა და ელექტრონული მუსიკით გატაცებული საბოლოოდ მოექცეოდა მათი გავლენის ქვეშ. მათი გავლენა დღითიდღე იზრდებოდა. „ბასიანს“ 3 ათასი რეგისტრირებული წევრი ჰყავს. რეალურად, ეს არის არმია. ნათია ორაშვილი ამით კმაყოფილებას არც მალავდა. მან ბევრისგან გასაკვირად დაირქვა სახელი ნაჯა. მე დავინტერესდი ამ სახელწოდების წარმომავლობით, ინდურად — ნაჯა ნიშნავს სათვალიან ასპიტს — კობრას. როგორც ჩანს ეს შავი ბარონესა ცდილობდა ბოლომდე შესულიყო თავის მისტიურ როლში და სათვალიანი ასპიტის იმიჯით კიდევ უფრო შთამბეჭდავი ყოფილიყო. იგი თავად აცხადებს, რომ სტიმულატორების მომხმარებელია და იმ ადამიანებს, რომლებსაც ძვირადღირებული კლუბური ნარკოტიკების შეძენის საშუალება არ აქვთ, სინთეტიკური ნარკოტიკების მოხმარებას ვერ აუკრძალავს. ბიო მარილის მოხმარება ღირს 100 დოლარი, ხოლო სხვა კლუბური ნარკოტიკი 150–200 დოლარია — აცხადებს იგი, ანუ, პრეისკურანტსაც ასახელებს. საბოლოო ჯამში, ნაჯა იმედოვნებს, რომ მათი ცეკვით დაწყებული პოლიტიკური აქცია ომით დასრულდება. მისი კლუბის სახელწოდება — ხორუმი ჩვენი ფოლკლორის მარგალიტია, ხოლო ბასიანი სახელოვანი ომი თამარ მეფის მიერ წარმოებული რუქნადინის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენი ტრიუმფალური გამარჯვებით დასრულდა. აი, ეს ორი ფაქტორი აქვს სიმბოლოებად გახდილი — ვიწყებთ ცეკვით და ვამთავრებთ ომით. ადვილი წარმოსადგენია თუ ვის წინააღმდეგ ომს გულისხმობს ნაჯა ორაშვილი. იგი ამ ომში მხოლოდ საკუთარ თავს არ გულისხმობს, არამედ, მისი აზრით, დიდი ნეოლიბერალური გაერთიანება, პოლიტიკური სპექტრი უნდა ჩაუდგეს სათავეში ახალ ტირანიას, ახალ მიშა სააკაშვილს, ახალ 2006 წელს, ახალ ნულოვან ტოლერანტობას, ახალ სიტყვებს — ხელი არ აგიკანკალდეთ, სულს ამოგხდით. თუ ამას წარმოვიდგენთ, მივხვდებით, რომ ეს არ არის კონსპირაციის თეორიის ზღარპრები. ეს არის აბსოლუტური რეალობა, რომელიც ჩვენს თვალწინ განხორციელდა, თუმცა ამ ადამიანებს ჯანსაღმა ნაწილმა აღვირი ამოვდეთ, რისთვისაც ხელისუფლება ხალხის მადლიერი უნდა იყოს.

ᲑᲔᲥᲐ ᲦᲘᲭᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

— თქვენ ახსენეთ, რომ აქცია მართული, დაფინანსებული იყო. ერთ-ერთ შოუში „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტი განრისხებული ეჩხუბებოდა აქციის ორგანიზატორებს: რატომ დაიხიეთ უკან, აქცია რატომ დაშალეთო?

— დიახ, ტელეკომპანია „რუსთავი-2“ მოქმედებების მთავარი შტაბია. იგი იყო, არის და კიდეც რჩება მთავარ სადისპეჩერო პულტად, საიდანაც განკარგულებების მიცემა, მასზე კონტროლი და ასრულება ხდება. ნიკა გვარამია არ არის მხოლოდ ამ კომპანიის გენერალური დირექტორი, არც მხოლოდ გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილეა, არც ყოფილი პარლამენტის წევრია „ნაცმოძრაობის“ სახით და არც მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის მარჯვენა ხელი. ის არის მთავარი რგოლი იმ ტიპის მოქმედებებისა, რომელმაც რევოლუციური ხასიათის მოვლენები უნდა გამოიწვიოს. ის ამ მიმართულებით ერთ-ერთი მთავრი ანალიტიკოსია და ბუნებრივია, პროცესმა რომელიც მისი ზედამხედველობის ქვეშ დაიწყო და შემდგომში სხვა რელსებზე გადავიდა, მასში გულისწყრომა გამოიწვია. იგი ამ დიდ გულისწყრომას არც მალავდა, პირდაპირ მიმართა ბექა წიქარიშვილს და ბაია პატარაიას: თქვენ, უნდა დაემშვიდობონ მომავალში რაიმეზე ოცნებას და იმას, რომ ვინმე კიდევ გამოგიცხადებთ ნდობასო. რა თქმა უნდა, ნიკა გვარამიას ენით მიხეილ სააკაშვილი საუბრობდა. ეს ძალა თვლიდა, რომ ისეთი ძლიერი მონაპოვარი, რასაც ახალგაზრდების მიერ რუსთაველის გამზირის ოკუპაცია ჰქვია, ყველაზე უფრო ხელსაყრელი და ნოყიერი საშუა-

ლება, ნიადაგი იყო იმისთვის, რომ შემდგომი ესკალაცია განეხორციელებინათ, რაც მიზნად ისახავდა ესტაფეტის გადაცემას ახალგაზრდების ხელიდან უკვე პოლიტიკოსებზე. ჩამოყალიბდა პოლიტიკოსთა ერთგვარი კოალიციური ჯგუფი, რომლებიც ჩავიდნენ სააკაშვილთან ჰოლანდიაში. აქაც, უკვე, მიშასგან ფორმალურად გამიჯნული ძალები მზად იყვნენ ხელში აეღოთ ინიციატივა და საბოლოო ჯამში, სრული დაუმორჩილებლობა გამოეცხადებინათ, პროცესში ჩაერთოდ ახალგაზრდობა და პროცესი იმ ტიპის პროვოკაციაზე გადაეყვანათ, რაც გარდაუვლად გამოაყენებინებდა შსს-ს პროპორციულ თუ არაპროპორციულ ძალას, რის შედეგადაც, ყველაფერი მასობრივი არეულობის მიმართულებით წავიდოდა. ამას კი მოჰყვებოდა სრული ქაოსი და ანარქია. დენთი და მასზე გაკრული ასანთი გადავიდოდა მთელს ქვეყანაზე და იგი სამოქალაქო დაპირისპირების წინაშე აღმოჩნდებოდა, რაც ძალიან აწყობდათ ლიბერალებს. ქვეყანაში წარმოიშვებოდა ცალმხრივი დაპირისპირების კერა, რაც გარდაუვალი არეულობის გარანტი იქნებოდა.

უნდა დავნერგოთ მიდგომა, რომელიც ადამიანს ბავშვობიდანვე დააკარგვინებს ნარკოტიკის მოხმარების სურვილს. მას ეცოდინება რომ ეს დენია, კლავს და მიკარება არ შეიძლება. ამისათვის, პირველ რიგში, კანონში ცვლილებები უნდა შევიდეს და ნარკოტიკულ საშუალებებზე შემოწმება უნდა იყოს არა პრევენციული შერჩევით, არამედ სავალდებულო, აუცილებელი მეთოდით. თუ ნარკოტიკი უკანონოდ არის მიღებული და ეს პირი საჯარო სამსახურში მუშაობს, იგი დატოვებს სამსახურს. უნდა შეიქმნას ნარკომომხმარებლების რეესტრი ზუსტად ისეთი, როგორიც მევალეთა რეესტრია. მასში ადამიანი ნებაყოფლობით უნდა შევიდეს. ნარკომომხმარებელი უნდა შეიზღუდოს უფლებებში, მან ნათლად უნდა იცოდეს — ვერ იმუშავებს საჯარო სამსახურში, არ ექნება ხმის მიცემის უფლება, ვერ მიაკითხვას ბავშვს ბაღში ან სკოლაში გამოსაყვანად, არ ექნება მართვის მოწმობა და ა.შ. ანუ, საზოგადოებისთვის ნაწილობრივ კეთროვანი იქნება. მას შეუძლია ნარკოტიკი მოიხმაროს, მაგრამ სახელმწიფო მის დესოციალიზაციას მოახდენს

— დასაწყისში ახსენეთ, 90-იან წლებში ნარკომომხმარებელ მაღალჩინოსნებზე ანეკდოტებიც კი დადიოდაო. ასევე, ხაზი გაუსვით, დესოციალიზაციის თემას. როგორ ფიქრობთ, უნდა გამოვყაროთ თუ არა სახელმწიფო სტრუქტურებიდან ნარკომანები, რათა მოზარდმა იცოდეს რომ მას შეეძლება ან ნარკოტიკი აირჩიოს ან ნათელი პერსპექტივა?

— დიახ, ეს პირველი რიგის ამოცანაა. სწორედ ამას ვგულისხმობდი, როცა ხაზი დესოციალიზაციის კონცეფციას გავუსვი, რომელიც ქვეყანაში არ არსებობს. თუმცა, არსებობს ორი კანონი, რომლებშიც ნარკოტიკული საშუალების მოხმარება განიხილება როგორც საჯარო სამსახურში მუშაობის შეუთავსებლობის პირობა. მეორე მხრივ, კრძალავს არჩევის ორგანოში ადგილის დაკავებას. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში პირდაპირ ჩადებულია, რომ პრევენციულად, წელიწადში ერთხელ მაინც უნდა ხდებოდეს პირის შემოწმება ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე. ეს იმ შემთხვევაში განხორციელდება, თუ პოლიტიკური ნება იქნება. ეს კანონი არსებობს, მაგრამ ვინმე გინახავთ ხმაურიანად გაეშვათ სამსახურიდან ნარკოტიკის მოხმარების გამო?! კანონი არ მუშაობს. ამიტომ,

— არ მისცემს მას სრულფასოვან სადაზღვევო პაკეტს. ამით ბავშვებს დავანახებთ, რომ ასე ცხოვრება არის ცუდი და დაუშვებელი. ეს იქნება უნიკალური მოდელი, რათა თავიდან ავიცილოთ ნარკოტიკული საშუალებების პოპულარიზაცია.

— ბატონო დიმა, ნარკოლოგების თქმით, ნარკოტიკის შოვნა ძალიან გაადვილდა. ეს რით აიხსნება?

— ექსკლუზიურად გეტყვით, ნარკოტიკის შეძენა მართლაც ძალიან მარტივად ხდებოდა. ამ თემას დიდხანს ვიკვლევდი და აღმოვაჩინე, რომ ადამიანი, რომელიც ღამის კლუბ „ბასიანის“ ფეისკონტროლი იყო, თავად მუშაობდა ახალგაზრდების ჩათრევაზე. ყველაზე უფრო მოწყვლადი, სუსტი ფსიქიკის ახალგაზრდის პროცესში ჩათრევა ძალიან მარტივად ხდებოდა — ამ ადამიანებთან კონტაქტში შედიოდა კონკრეტული პირები, შემდეგ ხდებოდა ნარკოტიკის შეთავაზება, გასინჯვა, მერე ორგიაში ჩათრევა, მისი გარყვნა, ბოლოს საკუთარ მებრძოლთა რიგებში ჩაწერა. ნაჯა ორაშვილი ამბობს კიდეც, რომ მებრძოლი სულის ადამიანია, ომის გამოწვევა მიღებულია და აპირებს ბოლომდე იომოს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

პოლიტიკური სიტყვა

განვლილი კვირა პოლიტიკური მოულოდნელობებით იყო დახუნძლული. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ ირანს 12 მოთხოვნა, ფაქტობრივად, ულტიმატუმი წაუყენა. „...ჩვენ გავაძლიერებთ სანქციებით ზეწოლას რეჟიმზე. ირანის ხელისუფლებას ეჭვი არ უნდა ეპარებოდეს ჩვენს სერიოზულ განწყობაში ამ საკითხისადმი და ბოლომდე, გამარჯვებამდე ვიბრძოლებთ მიზნის მისაღწევად“, — განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკლ პომპეომ. ირანელები, თავისთავად, გააღიზიანა ულტიმატუმმა, რაც მათ შინაურ საქმეებში ჩარევად შეაფასეს. ირანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ პომპეოს განცხადებას უსირცხვილო უწოდა. „...ადამიანი, რომელიც შპიონაჟით იყო დაკავებული და ახლა სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელად მოგვევლინა, არ უნდა გვასწავლიდეს ქვეყნის მართვას და ცხოვრებას“, — განაცხადა ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

ჯერ კიდევ ერთ თვის წინათ ისრაელელი სამხედრო ექსპერტი იაკობ კედმი აცხადებდა, რომ აშშ-ის მთავარი მიზანს ირანში ხელისუფლების შეცვლა წარმოადგენს და ამიტომაც ახორციელებენ ეკონომიკურ შეტევას. პომპეოს განცხადებით, ფაქტობრივად, დადასტურდა ექსპერტის შეფასება. იმავე კედმის განცხადებით, აგორებული „ბიზნეს ომი“, ადვილი შესაძლებელია, ფართომასშტაბიან შეტაკებაში გადაიზარდოს. ექსპერტის განცხადებით, ირანი აშშ-ს თავს არ დაუხრის და დარტყმას დარტყმით უპასუხებს, ამან კი, შესაძლოა, მთელი რეგიონი, კავკასიის ქვეყნებიც მოიცვას, რაც, შეიძლება, მათთვის დამღუპველი აღმოჩნდეს.

სინგაპურში 12 ივნისს დაგეგმილი სამიტისთვის მზადება გრძელდება. დაიწყეს სამახსოვრო მონეტების გამოშვება დონალდ ტრამპისა და კიმ ჩინ ინის გამოსახულებით. ამასობაში კიმ ჩინ ინმა შეასრულა პირობა — 12 ქვეყნის ჟურნალისტებისა და ტელეკამერების თანდასწრებით ააფეთქეს და გაანადგურეს ბირთვული პოლიგონი.

ბირთვული პოლიგონის აფეთქებიდან ერთი საათიც არ იყო გასული, როდესაც ტრამპმა გააკეთა სენსაციური განცხადება და გააუქმა სინგაპურში დაგეგმილი სამიტი. ამას დაერთო უსაფრთხოების საკითხებში ახალდანიშნული თანაშემწის ჯონ ბოლტონის განცხადება, რომელმაც კვლავ გაიხსენა კადაფისა და ჰუსეინის დასჯა და დაიმუქრა: „...თუ ჩრდილო კორეელები ისე არ მოიქცევიან, როგორც ჩვენ გვინდა, გავანადგურებთ!“

მოვლენების ასეთ განვითარებას მსოფლიოში არავინ მოელოდა, პოლიტიკოსები გაოგნებულები დარჩნენ. მუნ ჯინ ინმა საერთოდ არაფერი (ან ვერაფერი) თქვა. თავად ამერიკელმა პოლიტოლოგებმა მოვლენები უაღრესად უარყოფითად შეაფასეს, სამხრეთ კორეის მოსახლეობამ კი საკმაოდ აქტიური პროტესტი განაცხადა.

პოლიტოლოგების თქმით, აშშ-ს სურვილი ჰქონდა, ჩრდილოეთ კორეას სრული კაპიტულაცია გამოეცხადებინა და უპირობოდ შეესრულებინა წაყენებული მოთხოვნები, რაც არ გააკეთა. ექსპერტ იაკობ კედმის აზრით, კიმ ჩინ ინი დელიკატურად იქცევა. ამერიკელებს ეგონათ, შეაშინებდნენ, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს და ამიტომ თქვა უარი ტრამპმა მასთან შეხვედრაზე. იმავე კედმის განცხადებით, აშშ სართასორისო კანონებს არ ემორჩილება. გარდა ამისა, ექსპერტმა ტრამპს არაადეკვატური უწოდა და თქვა: „...მან ისეთი საცირკო აკრობატული პოლიტიკური ნომერი შეასრულა, რომელიც ჯერ არავის გაუკეთებია“.

ორი კორეის ლიდერების შეხვედრის შემდეგ დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ მზად არის 12 ივნისის სამიტისთვის. ამასთან, ამერიკელმა და ჩრდილოეთ კორეის დიპლომატებმა დემილიტიზირებულ ზონაში განაახლეს სამიტისთვის საკითხების შეჯერება. ვითარების ასეთმა რადიკალურმა ცვლილებამაც ერთ დღეში პოლიტოლოგები კვლავ გააოცა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ აშშ-ის ადმინისტრაცია მიხვდა, სამიტის გაუქმებამ საერთაშორისო არენაზე მათი ქვეყნის იმიჯი რომ შეარყია და ამიტომ განაახლეს საუბარი შეხვედრის შესაძლებლობაზე.

რუსეთის მეორე დედაქალაქი სანკტ-პეტერბურგი სამი დღე მასპინძლობდა ტრადიციულ საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმს, რომელიც უკვე 22-ედ გაიმართა. წლევანდელი შეკრება საკმაოდ წარმომადგენლობითი გამოდგა. იმის გარდა, რომ ფორუმზე 70 ქვეყნის 15 000 წარმომადგენელი სტუმრობდა, სანკტ-პეტერბურგში ჩავიდნენ საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი მეუღლითურთ, იაპონიის პრემიერ-მინისტრი სინძო აბე, ასევე მეუღლის თანხლებით, საერთაშოროსო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელი კრისტინ ლაგარი. აღსანიშნავია, რომ აბე იაპონიის პრემიერებიდან პირველია, ვინც აღნიშნულ ფორუმს დაესწრო.

მიუხედავად იმისა, რომ ფორუმი ეკონომიკურია, პეტერბურგში პოლიტიკას გვერდი ვერ აუარეს. ემანურლ მაკრონმა განაცხადა, რომ რუსეთი ევროპის ნაწილია და ამიტომ უნდა დაბრუნდეს ევროსაბჭოში. ამასთან, მეგობრულ ურთიერთობას არ მალავდა. ექსპერტების განცხადებით, ვლადიმირ პუტინმა ფორუმზე აჩვენა სამყაროს, რომ რუსეთი იზოლაციაში სულაც არ ყოფილა, ხოლო ემანუელ მაკრონმა რუსეთში ჩასვლით კვლავ დაადასტურა, რომ საფრანგეთი ევროპაში ერთ-ერთი ლიდერია (გერმანისთან ერთად). თავად მაკრონმა პოლიტიმიჯი აიმაღლა. გამოცემა „ბლუმბერგის“ წარმომადგენელმა კი განაცხადა, რომ ირანისა და ჩრდილოეთ კორეის საკითხმა რუსეთი ევროპის ქვეყნებთან კიდევ უფრო დააახლოვა.

გია ბურდული
551 71 27 07

„ნიუ ეიჯი“ – ახალი რელიგია, ანუ აკეთე ის, რაც გინდა

„ნიუ ეიჯის“ უკვე 22 მილიონი მიმდევარი ჰყავს

ნიუ ეიჯი „ახალი ერა“, „ახალი საუკუნის“ რელიგია – საერთო სახელი განსხვავებული მისტიური მიმდინარეობისგან მიიღო. ნიუ ეიჯი განსხვავდება ტრადიციული რელიგიური მიმდევრობებისაგან იმით რომ, ის არ არის წარმოდგენილი რომელიმე ერთი სასულიერო სწავლებით ან რელიგიური მრწამსით (სექტა, საზოგადოება, ტრადიცია, სკოლა), არამედ გულისხმობს მასში განსხვავებულულად მოაზროვნე ოკულისტების, ეზოთერიკოსების და მეტაფიზიკოსების სწავლებებს, პრაკტიკასა და კონცეფციებს. 1980-იანების დასაწყისში, ტერმინი „ნიუ ეიჯი“, ფართოდ გავრცელდა დასავლურ მასმედიასა და ლიტერატურაში, მაგრამ მისი ჩამოყალიბება უფრო ადრე მოხდა.

დასავლეთის სოციუმის უმაღლეს ფენებში, განსაკუთრებით კი ინტელექტუალურ და კულტურულ ელიტაში ჰომოსექსუალიზმის გავრცელებამ ხელი შეუწყო იმას, რომ

სექსოლოგებს და ფსიქოლოგებს შორის გამოჩნდნენ ისეთები, რომლებიც ცდილობდნენ ამ ვნების მატარებელთა რეაბილიტაციას. უდიდესი წვლილი ამ საქმეში შეიტანა ებრაული მასონური ლოჟის „ბნაი ბრიტის“ წევრმა **ზიგმუნდ ფროიდმა**. ცნობილია, რომ მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა მაგიასთან და ოკულტიზმთან, მან პრაქტიკულად შექმნა თავისი საკუთარი საიდუმლო ორდენი საიდუმლო შეხვედრებითა და ენითაც კი. მის შეხედულებებზე დიდი ზეგავლენა მოახდინეს „იუდეველ წინასწარმეტყველთა“ ისეთმა კორიფეებმა როგორებიც იყვნენ კაბალისტ **ადოლფ ჟელინეკი** და დოქტორი **ვილჰელმ ფლისი**, რომელმაც ბისექსუალურობის იდეა და კონცეფცია განავითარა... ფროიდი აქტიურად აკრიტიკებდა შეხედულებას ჰომოსექსუალიზმზე, რომლის მიხედვითაც ის გახლავთ შედეგი დეგენერაციისა და წარმოადგენდა მას როგორც ფსიქოსექსუალური ორიენტაციის ერთგვარ ფორმად, რომელიც ობიექტის არჩევანზეა დამოკიდებული... ჰომოსექსუალიზმის მომდევნო დეკრიმინალიზაციისათვის განსაკუთრებული ღირებულება ჰქონდა ფროიდის დასკვნას, რომ ყველა ადამიანს შეუძლია თავისი სქესის ობიექტის არჩევა და ამ არჩევანს ისინი ქვეცნობიერში აკეთებენ და რომ ფსიქოანალიზი შესაძლებლობას იძლევა ყოველ ადამიანში გამოვლინდეს ობიექტის არჩევანის ჰომოსექსუალური ელემენტი. გარყვნილების სხვა არანაკლებ ცნობილი დამცველი გახლდათ ფაბიანური საზოგადოების წევრი, ბერნანდ შოუს უდიდესი თაყვანისმცემელი გალტონის ევგენიკის ინსტიტუტის მეთაური და სექსუალური რეფორმების მსოფლიო ლიგის პრეზიდენტი, ინგლისელი მეცნიერი **ჰევლოკ ელისი** რომელიც დაქორწინებული იყო ლესბოსელ ქალზე ედიტ ლისზე. თავის ნაშრომებში (სექსუალური ინვერსია, სქესის ფსიქოლოგიის გამოკვლევა)ის უარყოფდა ჰომოსექსუალიზმის დეგენერაციულ არსს და მათ ნორმალურ ადამიანებად სახავდა. მოკლედ, ელისი სექსუალური რევოლუციის პირველი მერცხალი გახლდათ...

დასავლეთის საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში გადამწყვეტი ცვლილებები მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა. რაც დაკავშირებული იყო აშშ-ში დაწყებულ „კულტურულ და სექსუალურ რევოლუციასთან“, რომელმაც ღია ომი გამოუცხადა ყოველგვარ ტრადიციულ ღირებულებას, ნორმასა და ყოფიერებას. ეს რევოლუცია დაემთხვა ახალ, უფრო მძლავრ ტალღას ოკულტიზმისა, რომელიც აღნიშნულ პერიოდში წარმოდგენილია მოძრაობა „ნიუ ეიჯის“შეშვეობით და რომელიც ადრინდელ ეზოთერული სწავლების გამაგრძელებლად მოგვევლინა. „ნიუ ეიჯი“ პრეტენზიას აცხადებს შექმნას ახალი, უკანასკნელი მსოფლიო სინთეტიკური რელიგია, რომელიც შეცვლის ქრისტეანობას. მას დასაბამი დაუდო ელენე ბლავატსკაიას საქმის გამგრძელებელმა **ელის ბეილიმ**, რომელიც „ახალი ერას“ წინასწარმეტველი გახდა-მერწყულის ერასი იგივე „ახალი მსოფლიო წესრიგისა“, ხოლო მის იდეებსა და მიზნებს, საზოგადოებას მერილინ ფერგიუსონი განუმარტავდა პროგრამული წიგნის“მერწყულის შეთქმულების“საშუალებით (ავტორი თავად გახლდათ), რომელიც წარმოადგენს კაცთმერთობის თანამედროვე რელიგიას. „ნიუ ეიჯის“ მიზანია მსოფლიო წესრიგის ტოტალური შეცვლა ადამიანის სულიერი გარდაქმნით, რათა მიაღწიოს „ღვთაებრივ ყოვლადძლიერებას“, რომელიც მას მსოფლიოს მართვის შესაძლებლობას მისცემს. სწორედ ამ სწავლებამ მისცა რელიგიური საფუძველი ჰომოსექსუალიზმს, რომელსაც ადამიანის გადარჩენის თავისი გზა შესთავაზა. „ნიუ ეიჯი“ სრულიად იმეორებს კაბალის სწავლებას პირველ ადამიანზე, როგორც ღმრთის მსგავს სულიერ ანდროგენზე, რომლის მთლიანობა მატერიალიზაციის შედეგად ორ ნაწილად დაიშალა. ამგვარად სქესი წარმოადგენს საზიანო შეხედულებას, რომელსაც ადამიანი სიკვდილამდე და ხრწნადობამდე მიჰყავს, რომ გადარჩეს უნდა დაუბრუნდეს ადრინდელ სულიერ მდგომარეობას და შეუერთდეს ღვთაებას.

სექსოლოგმა ჯონ მანიმ ჩამოაყალიბა. პირველად „გენდერისა“ და „გენდერული როლის“ ცნებები ადამიანის „სოციალური სქესის“ აღსანიშნად, რომელიც სოციალურ განსაზღვრებად იდენტობად გაიგება და, რომელიც ბუნების მიერ ბოძებული „ბიოლოგიური სქესისგან“განსხვავდება. მალე ეს ცნებები აიტაცეს სოციოლოგებმა და ფსიქოლოგებმა. ის საკმაოდ გავრცელდა ფემინისტური მოძრაობის შიგნითაც, ებრძოდა რა მამაკაცურ ძალაუფლებას, კრიტიკის ანალიზი „ბიოლოგიური“ იდენტობიდან“-სოციალურზე გადაიტანა. ამან შესაძლებლობა მისცა მას სქესი განეხილა როგორც სოციალური მოვლენა...აშშ-სა და დასავლეთის სხვა ქვეყნებში ყალიბდებოდა მრავალრიცხოვანი ორგანიზაციები, რომლებიც აცხადებდნენ რა თავიანთ განსაკუთრებულ „უფლებებზე“ზეწოლის მთავარ პოლიტიკურ ბერკეტად ყოველწლიურად იყენებდნენ გეი-აღლუმებს „ადამიანის უფლებების“ დაცვის ლოზუნგით სრულმასშტაბიან შეტევაზე გადავიდნენ. ამერიკელი მხატვარ-აქტივისტის, **გილბერტ ბეიკერის** მიერ „გეი-აღლუმებისთვის“შემუშავებული ცისარტყელას დროშა მოძრაობის სიმბოლიკად იქცა. ფაქტობრივად, მან გამოიყენა „ნიუ-ეიჯის“ ერთ-ერთი სიმბოლო, ცისარტყელას მეშვეობით გამოიხატება ხიდი ადამიანის ინდივიდუალურ სულსა და „საყოველთაო ზე-გონს“ შორის.

1990-წელს ამერიკის ფსიქიატრიულ ასოციაციაზე ორიენტირებული და ძლიერი პოლიტიკური ზეწოლის ქვეშ მყოფმა ჯანდაცვის მსოფლიო საზოგადოებამ ამოიღო ჰომოსექსუალიზმი დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციიდან. სწორედ ამ დღეს აღნიშნავს ლგბტ-საზოგადოება ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღედ...

დღეს უკვე ფართოდ გავრცელებული გლობალისტური იდეოლოგია ქრისტიანული მსოფლმხედველობის საპირისპირო შეხედულება გახლავთ. გლობალიზაცია სხვადასხვა ფორმის გამოვლენით – „გლობალური მსოფლიო წესრიგი” და ასე შემდეგ – 2000 წლიანი ქრისტიანული ეპოქის დასასრულზე და ახალი დროის დასაწყისზე საუბრობს. მათი დამქაშები ხშირად იმეორებენ ტერმინს „პოსტ-ქრისტიანული მსოფლიო”, ანუ ადამიანების შეგნებაში ამკვიდრებენ აზრს, რომ ქრისტიანობამ უკვე მოჭამა თავისი დრო, ის ვითომდა ისტორიული წარსულია. ახალი ათასწლეულის დადგომის შემდეგ, მათი აზრით, „ახალი ერა”, „მერწყულის ერა” დადგებოდა. ამ იდეოლოგიას ისინი ამერიკაში პოპულარული თეოსოფიური და ოკულტური მიმდინარეობის „ნიუ ეიჯ, ანუ “ახალი დრო”-ის მეშვეობით ახორციელებენ. ეს მოძრაობა ფართო მასებისათვის ცნობილი 1975 წელს გახდა. ის თავდაპირველად ა.შ.შ. – ში, ხოლო შემდეგ ევროპაშიც გავრცელდა. „ნიუ ეიჯი” არ არის არც სექტა, არც რელიგია. მას თითქოს არა აქვს მმართველობითი ცენტრი, ორგანიზაციული სტრუქტურა, არ გააჩნია განსაზღვრული

14 გვ.

უცნობი ბერია

ამ ორიოდე თვის წინათ ზუგდიდში ჩასულმა ერთმა ტელეჟურნალისტმა ბერიას ქუჩის მაცხოვრებლებს (არის თურმე ასეთი ქუჩა ზუგდიდში) ერთი და იგივე კითხვები დაუსვა: უნდა იყოს თუ არა ზუგიდში ან საქართველოს სხვა რომელიმე ქალაქში ბერიას სახელობის ქუჩა და ხომ არ ეუხერხულებათ მათ, რომ ამ ქუჩაზე ცხოვრობენ?

ზოგმა რა უპასუხა და ზოგმა რა, ჟურნალისტმა კი თავის კომენტარებში ხაზგასმით და გამოკვეთილად აღნიშნა, რომ ბერია 37-იანი წლების რეპრესიების ერთ-ერთი ავტორია, პირსისხლიანი ჯალათია, რომელმაც ათიათასობით უდანაშაულო ადამიანი გაანადგურა.

ეს არის ის ტრაფარეტი, ის ჩარჩო, რომლის მიხედვითაც იწერება უამრავი წერილი, ქვეყნდება უამრავი პუბლიკაცია ბერიას შესახებ, თითქოს ამ კაცს სხვა არაფერი ეკეთებინოს, გარდა უდანაშაულო ადამიანების ხოცვა-ჟლეტისა.

ეს ცალმხრივი, ტენდენციური და მიკერძოებული პუბლიკაციები, რომლებიც აშკარად პროპაგანდისტულ ხასიათს ატარებს და რომლებიც ბერიას მოღვაწეობის შეფასების დაკანონებულ ტრაფარეტად იქცა, სინამდვილეში ყალბად და დამახინჯებულად წარმოგვიდგენენ იმ ურთულეს დროსა და ეპოქას, რომელშიც ბერიას მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა.

ჩვენმა თანამედროვეებმა, განსაკუთრებით ახალგაზრდებმა, ფაქტობრივად, არაფერი იციან არც გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების და არც ბერიას შესახებ და თუ რამე იციან, იციან ნიკიტა ხრუშჩოვის დაკვეთით, მის მიერ ორგანიზებული შეკვეთილი მასალების მიხედვით, რომელთა მიზანი იყო, მომხდარიყო სტალინისა და ბერიას მოღვაწეობის სრული დისკრედიტაცია.

ჩვენ, ჩვენდა სამარცხვინოდ, დღემდე ვიმყოფებით შურისძიების მანიაკალური ექსტაზით შეპყრობილი ქართველთმოძულე ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ აგორებული შავი პიარის გავლენის ქვეშ და არაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ამ სიცრუის, ამ ნახევარსიმართლის მოჯადოებული წრიდან გამოვიდეთ.

ვიცი, რასაც ახლა ვიტყვი, ძალიან ბევრს გააოგნებს, ძალიან ბევრს აღაშფოთებს, მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას: ლავრენტი ბერია არის ის ადამიანი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა დანგრეული და გაპარტახებული საქართველოს აღორძინებაში.

სწორედ ლავრენტი ბერიას დროს, მისი უშუალო ინიციატივით და ორგანიზებით დაიწყო ქართველებისგან დაცლილ ქართულ ტერიტორიებზე ქართული მოსახლეობის გეგმაზომიერი ჩასახლება. ბერიას მეცადინეობით დაუბრუნდა საქართველოს მენშევიკების მიერ საფრანგეთში გატანილი განძი. ბერიას დროს ჩაეყარა საფუძველი თბილისის განახლებას და დაიწყო მისი გეგმაზომიერი განვითარება. ბერიას დროს აშენდა უამრავი ფაბრიკა და ქარხანა და ა. შ.

ის იყო ბრწყინვალე ორგანიზატორი და მენეჯერი, მაგრამ რისი გაკეთებაც მან საქართველოში მოასწრო, ორგანიზატორის და მენეჯერის საქმიანობას სცილდება.

ბერიას ჰქონდა ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცების და გაძლიერების გეგმა, ჰქონდა ნათლად ჩამოყალიბებული კონცეფცია, რასაც ის თანმიმდევრულად, ნაბიჯნაბიჯ ახორციელებდა.

მართალია, ბერიას სამეგრელოსა და მეგრელებისადმი განსაკუთრებულ, მიკერძოებულ დამოკიდებულებებს აბრალებდნენ (სწორედ ამ ცრუ ბრალდებებით შეითითხნა მის წინააღმდეგ ცნობილი „მეგრელთა საქმე“), მაგრამ სწორედ ბერია იყო ის პიროვნება, რომელმაც პრინციპული წინააღმდეგობა გაუწია „მაფალუისტებს“ და სამეგრელოს ავტონომიის შექმნის იდეა ჩანასახშივე ჩაახშო.

ის თვლიდა, რომ ქართული სახელმწიფოსთვის საზიანო იქნებოდა სამეგრელოს რეგიონში არსებული ეროვნული მუხტისა და ენერგიის ავტონომიის ჩარჩოებში ჩაკეტვა. მისი აზრით, ეს მუხტი და ენერგია ფართოდ უნდა გაშლილიყო ყველა მიმართულებით, განსაკუთრებით კი საქართველოს ძირძველი ტერიტორიის, აფხაზეთის, მიმართულებით.

სრულიად უნიკალურია მისი დამოკიდებულება სამცხე-ჯავახეთისადმი, სადაც მან, ფაქტობრივად, ქართული „კოლონიები“ დააარსა და ქართველთაგან დაცლილ ამ მხარეს ქართული სული შთაბერა.

დღეს თუ სამცხე-ჯავახეთში ქართული გენი მძლავრობს, ამაში ბერიასაც მიუძღვის დიდი ღვაწლი, ისევე, როგორც აფხაზეთის ქართველობის მომძლავრებაში, რომელსაც მრავალი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზის გამო, მოგვიანებით ვერ მოვუარეთ, ვერ ვუპატრონეთ. არა მარტო აფხაზეთს, კიდევ ბევრ რამეს ვერ მოვუარეთ ჩვენი ბედოვლათობით და წინდაუხედაობით, თუმცა ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს.

ბერია აქტიურ მონაწილეობას იღებდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სტალინის მიერ დაწყებულ კამპანიაში, რომლის მიხედვითაც თურქეთის მიერ მიტაცებული ქართული ტერიტორიები საქართველოს უნდა დაბრუნებოდა. ჩატარდა კოლოსალური სამუშაო, შეიკრიბა და აიკინძა უამრავი დოკუმენტური მასალა, შემუშავდა თურქეთში საბჭოთა ჯარების შესვლის გეგმა. როგორც ამბობენ, უკვე არსებობდა იმ ადამიანების სიაც, რომლებსაც ახლადშემოერთებულ ქართულ ტერიტორიებზე ხელმძღვანელი პოსტები უნდა დაეკავებინათ, მაგრამ მსოფლიოში პოლიტიკური სიტუაცია მოულოდნელად შეიცვალა და ამ გეგმის განხორციელება გაურკვეველი დროით გადაიდო, თუმცა ეს გაურკვეველი დრო მაშინ დასრულდა, როცა სტალინი გარდაიცვალა, სულ მალე კი ბერიაც მოკლეს.

სწორედ ამის შემდეგ იწყება დიდი შურისძიების ხანა საქართველოზე.

ორი დიდი პატრონისა და მფარველის გარეშე დარჩენილ რესპუბლიკას არამზადა ხრუშჩოვის და მისი ხროვის რისხვა დაატყდა თავს.

იმდენად დიდი იყო ხრუშჩოვისა და მისი ბანდის ზიზღი და სიძულვილი ამ ორი ქართველის მიმართ, რომელთა წინაშეც, თავის დროზე მუხლებზე ხოხავდნენ და მათ ყველა ნება-სურვილს მონური მორჩილებით ასრულებდნენ, რომ გადაწყვიტეს, მათ სამშობლოზე ეძიათ შური და საქართველო, როგორც ქვეყანა, პირისაგან მიწისა აღეგავათ.

ხრუშჩოვი აპირებდა, ქართველებისგან „გაეწმინდა“ საქართველო და ყველა ქართველი შუა აზიის ტრამალებში გადაესახლებინა.

ხრუშჩოვი ამ განზრახვას არც მალავდა და ხან მთვრალი, ხან ფხიზელი ღიად გვემუქრებოდა.

საბედნიეროდ, მან ვერ მოახერხა დანაქადნის შესრულება, თუმცა ბრწყინვალედ შეასრულა მეორე განზრახვა — გააქრო და გაანადგურა საარქივო მასალები, გააყალბა ფაქტები და დოკუმენტები, დაამახინჯა სტატისტიკური მონაცემები, რომ, რაც შეიძლებოდა შემაძრწუნებელი კუთხით წარმოეჩინა სტალინის და ბერიას მოღვაწეობა, დაეკნინებინა მათი დამსახურება, უკიდურესად უარყოფითი შტრიხებით წარმოეჩინა მათი პიროვნული თვისებები.

ხრუშჩოვისგან რა უნდა გვიკვირდეს, მაგრამ იმ ქართველებისა კი ნამდვილად მიკვირს, რომლებიც დღემდე ხრუშჩოვის მიერ აგორებული შავი პიარის გავლენის ქვეშ იმყოფებიან და სტალინისა და ბერიას სახელს ხრუშჩოვის ეპითეტებით ამკობენ.

მხოლოდ არაინფორმაციულობის ბრალი არ უნდა იყოს ის არანორმალური, არაჯანსაღი, აშკარად არაობიექტური და აგრესიული დამოკიდებულება, რასაც ქართველთა ერთი ნაწილი ამჟღავნებს სტალინისა და ბერიას მოღვაწეობის შეფასებისას.

ზოგიერთ მათგანს, როგორც ზემოთ ვთქვით, ძალიან მწირი, ზედაპირული და ცალმხრივი ინფორმაცია აქვს გასული საუკუნის 20–30-იანი წლების უკიდურესად დრამატული მოვლენების შესახებ, ზოგი სართოდ არ იცნობს ამ პერიოდს და ბრმად სჯერა საინფორმაციო საშუალებებით თუ სხვადასხვა გამოცემებით გავრცელებული ყალბი ვერსიებისა, თუმცა არსებობს საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც შეგნებულად, გაცნობიერებულად ემსახურებიან იმ საერთაშორისო პოლიტიკური ძალების მიერ დაქოქილ პროპაგანდისტულ მანქანას, რომელიც საუკუნეების წინათ დაიქოქა და რომელიც დღემდე ემსახურება იმ იდეოლოგიას, რომელიც სხვადასხვა სახელით და სხვადასხვა ინტერპრეტაციით არსებობს, მაგრამ ყველა ამ განშტოებას და შენაკადს ძირი და სათავე ერთი აქვს, ისე, როგორც ერთი აქვს მიზანი — ადამიანების გათავისუფლება ღმერთისგან, ადამიანის გადაკეთება და მისი განძარცვა „დრომოჯმული“ მორალურ-ზნეობრივი ნიორმებისგან, ეროვნული თვითმყოფადობის და იდენტობის მოშლა და რღვევა, კოსმოპოლიტური და გლობალისტური იდეების წინ წამოწევა, მსოფლიოს ერთი წერტილიდან მართვა და ა. შ.

ამ იდეოლოგიას, როგორც ვთქვით, სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ — ლიბერალური, მასონური, გლობალისტური, სიონისტური, კოსმოპოლიტური, თუმცა საძირკველი და საფუძველი ყველა ამ სხვადასხვა დასახელე-

14 გვ.

„ნიუ ეიჯი“ – ახალი რელიგია, ანუ აკეთე ის, რაც გინდა

12 გვ.


ზიგმუნდ ფრეიდი

სწავლება და დოგმატები და ასე შემდეგ ამ მიმდინარეობაში შერწყმულია მონიზმი, პანთეიზმი, გნოსტიციზმი, სხვადასხვაგვარი ოკულტური საზოგადოებები და სექტები, ერეტიკული და ყალბი რელიგიური მიმართულებები. მათი მიზანია – გარდაქმნან პიროვნება, ხოლო შემდეგ – გარდაქმნან მთელი მსოფლიო. ამისთვის ისინი ყველანაირ საშუალებებს: პრესას, ტელევიზიას, მასობრივ პოპ-კულტურას, ნარკოტიკებს, საზოგადოების გარყვნის სხვადასხვა ფორმებს იყენებენ. მუსიკის სფეროში გაჩნდა ახალი სტილი „ნიუ ეიჯი”. დაწესებულია ყოველწლიური პრემია „გრემი” ამ სტილის საუკეთესო ალბომისათვის. მრავალი ამერიკელი კონგრესმენი და „რომის კლუბის” გამოჩენილი წევრის ცნობილი ეკუმენისტის ენ ჩიტეს მიერ ჩატარებულ „ახალი დროის” ყოველდღიურ ლექციებს ესწრებოდა.

ადოლფ ჯელინეკი

დღესდღეობით, სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგად, „ნიუ ეიჯ-ის” წარმომადგენლები ყველაზე მდიდარი, განათლებული და წარმატებული ადამიანები არიან. „ნიუ ეიჯის” ინსტრუქტორები მუშაობენ ისეთ კომპანიებში, როგორიცაა „პროქტერ ენდ გემბლი”, „ჯენერალ მოტორსი”, „ფორდ მოტორ კომპანი”. მათ მიერ იხსნება უნივერსიტეტები, „ნიუ ეიჯის” ფონდები. ასე რომ, „ნიუ ეიჯი” – არა რელიგია, არამედ რელიგიურ-სოციალური მოძრაობაა, რომლის მიზანი ახალი „სულიერების” ახალი „რელიგიური შეგნებისა” და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაა. სინამდვილეში „ნიუ ეიჯი” კაცობრიობას ანტიქრისტეს მოსვლისათვის აშზადებს. „ახალი დროის” ქაოსიდან შემდეგში ერთინი მსოფლიო რელიგია უნდა დაიბადოს, რომელიც თავის თავში დედამიწაზე არსებული ყველა რელიგიის ელემენტებს შეიცავს. „ნიუ ეიჯის” მრავალი ელემენტი გადმოღებულია ოკულტიზმიდან. აქ არა მარტო ცრურწმენისა და წარმართობის, არამედ ჯადოქრობისა და მაგიის ელემენტები შეინიშნება. „ნიუ ეიჯის” მსოფლმხედველობა მორალურ ინდიფერენტიზმზეა აგებული. ცნობილი მაგისა და ოკულტისტის კროულის „სურვილით“, მომავალში „ნიუ ეიჯის” კანონი უნდა გამხდარიყო – „აკეთე ის, რაც გინდა”. (ალისტერ კროულის საყვარელი მაგიური დევიზი) ამ მოძრაობის მიმდევრები იბრძვიან ჰომოსექსუალისტებისა და ნარკომანების უფლებებისათვის, რითაც თანამედროვე მსოფლიოს ახალ სოდომად გადაქცევას ცდილობენ.

დღესდღეობით „ნიუ ეიჯის” 22 მლნ მიმდევარი ჰყავს. მარტო ამერიკასა და კანადაში, „ნიუ ეიჯის” დაახლოებით 20 ათასი ორგანიზაციაა. ეს ორგანიზაციები სხვადასხვაგვარი, მეცნიერული, პოლიტიკური, რელიგიურ – ფილოსოფიური ფორმისაა.

ბერძენმა ღვთისმეტყველმა ალექსის პანაგოპულოსმა დაწვრილებით განიხილა მოძრაობა „ნიუ ეიჯის” არსი და შემდეგი აზრი გამოიტანა: მათი მიზანი „ახალი მსოფლიოს წესრიგის” თეორიის შემუშავება, ახალი მსოფლიოს რელიგიის „ახალი ეპოქის ქრისტეს” (ანუ ანტი-ქრისტეს) მოსვლაა.

მოკლედ, გლობალიზაციის იდეოლოგიამ ჩამოიხსნა თავისი ნიღაბი და გვიჩვენა თავისი მონდი-

ჰილბერტ ბეიკერი

ლისტური არსი – სინთეტური რელიგია, რომლის აღმსარებლობაა: რწმენა ერთიანი კაცობრიობისა, რომელიც ერთიანი ცენტრიდან, ანუ მსოფლიო მთავრობიდან წარიმართება.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

13 გვ.

ბის მიმდინარეობას თუ მიმართულებას, აბსოლუტურად ერთი აქვს.

ეს ერთი იდეოლოგიაა სხვადასხვა ვარიაციით თუ ინტერპრეტაციით.

•

შეიძლება ბევრმა არ იცის, რომ 1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია რუსეთში, რომელსაც პროლეტარიატის რევოლუციად იცნობს ისტორია, სინამდვილეში პროლეტარული კი არა, სიონისტურ-მასონისტური ძალების მიერ განხორციელებული რევოლუცია იყო, სადაც პროლეტარიატი საზარბაზნე ხორცად გამოიყენეს, ძალაუფლება კი სულ სხვა ძალებმა ჩაიგდეს ხელში.

საგულისხმო ფაქტია, რომ წითელი რუსეთის მთავრობის 23 წევრიდან მხოლოდ სამი იყო არაებრაული წარმოშობის.

უცნობი ბერია

რომლითაც სამასი პროფესიონალი მკვლელი ჩამოიყვანა.

ქილერების ამ ბრიგადამ, რომელიც მკვლელთა სხვა ბრიგადებთან ერთად, ლეიბა ბრონშტეინს ეძებდა, სისხლის ოკეანე დააყენა რუსეთში.

თქვენ უნდა ნახოთ სიფილისისგან გონებაშერყეული ლენინის უმკაცრესი მოთხოვნები, კიდევ უფრო გაეზარდათ მსხვერპლთა რაოდენობა, რასაც დიდი ხალისით ასრულებენ ამხანაგი ლეიბა და მასთან შეამხანაგებული სხვა მკვლელები.

როცა 37-იანი წლების რეპრესიებზე ვლაპარაკობთ, რატომ არ ვლაპარაკობთ 20-იანი წლების რეპრესიებზე, რომელიც თავისი სისასტიკით და მსხვერპლთა რაოდენობით გაცილებით აღემატება ე.წ. სტალინური რეპრესიების მასშტაბებს.

(გაგრძელება იქნება)

შეიძლება ბევრმა არც ის იცის, რომ რევოლუციის პირველ წლებში ლენინის შემდეგ პირველი კაცი, „პროლეტარული“ რევოლუციის მთავარი იდეოლოგი სტალინი კი არა ლევ ტროცკი იყო, რომელიც ლენინთან ერთად მანიაკალური ენთუზიაზმით შეუდგა რუსეთის მართლმადიდებლური მოსახლეობის ჟლეტას, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

ეს იყო არნახული მასშტაბის რეპრესიები, უზარმაზარი მსხვერპლით.

არქივებმა შემოინახეს ლენინისა და ტროცკის რეზოლუციები, სადაც ისინი ასიათასობით ადამიანის განადგურებას მოითხოვენ.

დაუზუსტებელი ინფორმაციით, ლენინისა და ტროცკის მიერ ორგანიზებულ რეპრესიებს რამდენიმე მილიონი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ლევ ტროცკი, იგივე ლეიბა ბრონშტეინი, ოქტომბრის რევოლუციამდე ცოტა ხნით ადრე, გემით მოადგა ოდესას,

რიჰა... თენდება



მირონ ხერგიანზე უნდა გესაუბროთ, ბატონებო, მწერალზე, რომელმაც უამრავ ჭირსახდელს გაუძლო, სანამ ქართულ მწერლობაში შემოაბიჯებდა და იქ დაიმკვიდრებდა თავს.

ეს შემოქმედი მწერლობაში სვანეთიდან მოვიდა, საქართველოს ამ უმშვენიერესი და, ამავდროულად, უმკაცრესი კუთხიდან და თან მოიყოლა შობლიური მურყვამებისა და მაჩუბების სიმტკიცე და ხიბლი, სვანური მთების სიდიადისა და ნათელის განცდა, განცდა ყოველივე იმისა, რაც ასწლეულების განმავლობაში დარაჯად და მეციხოვნედ ედგა ქართულ სულიერებასა და ზნეობრიობას...

თუ გსურთ ბოლომდე ჩაწვდეთ ამ ჩინებული შემოქმედის სულს, გირჩევთ მისი „ოქროს ჭედილა ანუ სვანური აზმანი“ წაიკითხოთ. ხედავთ, თქვენმა მონა-მორჩილმა ამ ლიტერატურული ტექსტის ჟანრის განსაზღვრაც კი ვერ მოახერხა. რომანია, ავტობიოგრაფია, ეპოქის რეტროსპექტივა, ლირიკული პოემა თუ? უნდა ვაღიარო, რომ დავიბენი, მაგრამ გულწრფელად ვიტყვი: ამ ნაწარმოების კითხვისას თვალზე ცრემლი არ შემშრობია და არც ყელზე მოწოლილ ვეება ბურთსა თუ გორგალს მოუცია ამოსუნთქვის უფლება. „ოქროს ჭედილა...“ დასაწყისშივე გძაბავთ და ბოლომდე საკუთარ ტყვეობაში ყავხართ, იმდენად დიდია მასში ტრაგიზმისა და ადამიანური უსასოების განცდა, რომელიც ამასთანავე ორგანულად ერწყმის ქართულ ვაჟკაცობასა და ქედმიუხრელობას, ქართული სულის სიდიადეს. ნახეთ, როგორ იწყება ეს წყევლა-კრულვიანი ტექსტი:

„შფოთიან ხეობებში გაბნეულო სამონაგრო ბილიკებო! გაგონდებათ, ალბათ, ჯეილებში გარეული სამონაგრო ბილიკებო! გაგონდებათ, ალბათ, ჩემთა წინაპართა „რიჰა!“ — გამთენიის სიმღერა; წეროებივით ჩაწალიკებულნი და ჩუმად მოღიღინენი ანდეზე რომ მოუყვებოდნენ უჩინარ წავარნებზე სამონაგრო ბილიკებს ბარისაკენ... მათ ფეხქვეშ იზილებოდა კოლხეთის ჭაობები, ზღვისპირეთის ნესტიანი მიწები, საგულდაგულოდ გაპირულ სვანურ ცელებს მწარე ხრშიალი გაუდიოდათ კავკასიონის ქედს გადაღმა — ჟეგემისა და ყარაჩაის ღალიან ველებზე, სულაც არ ეთაკილებოდათ დღიური მუშის უმწეო და გაუხარელი ყოფა, კაცურად ღვრიდნენ ოფლს, წელზე ფეხს იდგამდნენ, მზეზე ნათელი და რვალზე გამძლისი სიმართლის შუქი მეგზურობდათ, ვითარცა ენგურის სრბოლვას, მათ სწრაფვასაც ვერავინ შეაჩერებდა. როგორც კი ყველიერის მზე იძალებდა, თოვლი შელხვებოდა, ლომის ხეობის ქანჩახები მხრებს შეიბერტყავდნენ და როდის-როდის, ქარაფებზე ბედისწერასავით დაკიდული ბილიკებიც დაჩნდებოდა, ისინიც აიკრავდნენ გუდა-ნაბადს და შინისაკენ გამოსწევდნენ, გაზაფხულის მაცნეებად მოევლინებოდნენ მთათა ქვეყანას. ნაირნაირი საქონლით დატვირთულებს, ოფლში გახვითქულებს, მართლაც ერთი ხალთა სიხარული მოჰქონდათ ჯალაბისათვის, მაგრამ... რაოდენ უსასრულო და დამთრგუნველი იყო ეს მოლოდინის წუთები!.. გადმოვდგებოდით ყორზე ნინველა სახლიკაცები, კისერწაგრძელებულნი და თვალმოწკურულნი გავცქეროდით შორეთს — ბარიდან მომავალ მამას პირველი ვინ დაინახავსო..“

როგორ გვძაბავს და გვაფორიაქებს ეს პირველივე სტრიქონები ნაწარმოებისა, რომელიც ბოლომდე დაჭიმული სიმივითაა. შეიძლება ითქვას, რომ ის მირონ ხერგიანის ცხოვრების უმთავრეს წიგნს წარმოადგენს, მის ლიტერატურულ სახეს, თუ გნებავთ, დიდ მწერლობაში შესასვლელ საშვს. მანამდე კი მწერალმა ხანგრძლივი, რთული და საინტერესო მწერლური ცხოვრებით იცხოვრა. მისი პირველი ლექსი 1962 წელს გამოქვეყნდა ჩვენი დედა-უნივერსიტეტის გაზეთში და, უნდა ითქვას, რომ მირონ ხერგიანის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში ლომის წილი სწორედ უნივერსიტეტში გატარებულმა წლებმა შეიტანა. აქ ჩამოიქნა მისი მწერლური და პიროვნული თვისებები, რომლებიც დღემდე მოჰყვება ამ ნიჭიერ შემოქმედს.

მართლაც რომ მშვენიერი პროზაიკოსია მირონ ხერგიანი. მისი რომანებისა და მოთხრობების კრებულები, როგორიცაა „პირველი ღამისთევა“, „თეთრი სახურავები“, „გადასასვლელი“, „ცხელი იანვარი“, „ღრუბლები შენ გქონდეს“, „ოქროსფერი რიყე“, „დამრჩომნი“, „კლდის ვეფხვი“, დასტურია იმისა, რომ მათი ავტორი სამშობლოს ბედსა თუ უბედობაზე ღრმად დაფიქრებული შემოქმედია. ამ კრებულებში შესული ნაწარმოებების უმთავრეს ღირსებას დიდი ადამიანური სიმართლე წარმოადგენს. წერს იმაზე, რაც ცხოვლად დარჩენია მის სულსა და გულს, რაც მისი საესავი სამშობლოს აწმყოსა და მომავალს სჭირდება, წერს ნათლად, ხატოვნად, მწერლური ოსტატობით. მისი მხატვრული ნააზრევიდან არ შეიძლება ცალკე არ გამოვყოთ რომანი „კლდის ვეფხვი“ — საგა სახელგანთქმულ მთასვლელ მიხეილ ხერგიანზე, ლეგენდად რომ იქცა სრულიად საქართველოსთვის. ამ რომანმა არაერთ გამოცემას გაუძლო და ცალკე წიგნებადაც გამოიცა ინგლისურ და რუსულ ენებზე.

მირონ ხერგიანი ბრწყინვალე პუბლიცისტია, რისი დასტურიცაა მისი პუბლიცისტური კრებულები („სადამდე ივლის ქარავანი“, „წიწამურიდან ჩვენამდე“, „დღეს ღამე უთენებია“, „კარგ ყმად ვინა ვთქვათ“, „წეროების პოლიგონი“, „პირმზითნი“), რომლებშიც ქვეყნის სატკივარით გულგასენილი ერისკაცის ნააზრევია დაუნჯებული, ერისკაცისა, ვინც ჯიუტად ეძიებს სამშობლოს გადარჩენის გზებს.

ერთადერთი პოეტური კრებული გამოსცა და მის წამკითხველს უთუოდ გაუჩნდება კითხვა, თუ რატომ არ გააგრძელა პოეტური კარიერა ამ უდავოდ ნიჭიერმა მწერალმა.

მირონ ხერგიანმა ჩინებულად თარგმნა კიპრიან ეკვენსისა და ლეოპოლდ ზახერ-მაზოხის რომანები, უკრაინელი, აზერბაიჯანელი, დაღესტნელი, რუსი და ოსი მწერლების ნაწარმოებები, მისი კინოსცენარის მიხედვით შეიქმნა სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „უშბაზე ძლიერნი“...

ასეთი მწერალია ბატონი მირონით, ხელხვავიანი და მრავალწახნაგოვანი შემოქმედი. და რა სასიამოვნოა, რომ მისი მრავალწლიანი ღვწა მწერლურ თუ საზოგადოებრივ სარბიელზე ღირსეულად დაფასდა. მას მინიჭებული აქვს საქართველოს სახელმწიფო, საქართველოს მწერალთა კავშირისა(3) და ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიები, ქართული კულტურის ამაგდარის საპატიო წოდება. დაჯილდოებულია დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი უპირველესი ჯილდოთი — ღირსების ორდენით.

გულდასაწყვეტია, რომ სიჭარმაგეში ფეხშედგმულ შემოქმედს ბედისწერამ დიდი განსაცდელი მოუვლინა თავს, თუმცა ქართველი კაცის შეუპოვრობითა და ქედუხრელობით ებრძვის ტკივილებს, გულში ჩახვეულ დარდსა და ვაებას, არ ნებდება და არ იჩოქებს. მასში კვლავაც ძალუმად ბობოქრობს ადამიანური ვნებები, ახდენილი თუ აუხდენელი ოცნებანი, სვანეთის მთები დღესაც ამაღლებენ, თავისკენ უხმობენ და ეძახიან თავის სისხლსა და ხორცს, მათ გარემოცვაში რომ ჩამოიქნა და ჩამოყალიბდა ქართული მიწის ერთგულ მეციხოვნედ.

მირონ ხერგიანი ახლა 75 წლისაა და ისღა დამრჩენია სულიერი მხნეობა და ქედუხრელობა ვუსურვო ამ ჩინებულ მწერალსა და მამულიშვილს.

ზაალ ბოტკოველი

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *

— ვინ ითვლება მარტოხელა მშობლად?

— თქვენთვის საინტერესო საკითხს არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1191[1]-ე მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ სრულად:

1. მარტოხელა მშობელი არის ამ მუხლით გათვალისწინებული მარტოხელა დედის ან მარტოხელა მამის სტატუსის მქონე პირი.

2. მარტოხელა დედა არის პირი, რომელსაც ჰყავს ქორწინების გარეშე დაბადებული 18 წლამდე ასაკის შვილი, თუ ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში არ არის შეტანილი ჩანაწერი ბავშვის მამის შესახებ, აგრეთვე პირი, რომელსაც ჰყავს შვილად აყვანილი 18 წლამდე ასაკის ბავშვი და რომელიც ბავშვის შვილად აყვანის მომენტში არ იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში.

3. მარტოხელა მამა არის პირი, რომელსაც ჰყავს ქორწინების გარეშე დაბადებული 18 წლამდე ასაკის შვილი, თუ ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში არ არის შეტანილი ჩანაწერი ბავშვის დედის შესახებ, აგრეთვე პირი, რომელსაც ჰყავს შვილად აყვანილი 18 წლამდე ასაკის ბავშვი და რომელიც ბავშვის შვილად აყვანის მომენტში არ იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში.

4. მარტოხელა მშობლის სტატუსის გაუქმების საფუძველია ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში მეორე მშობლის შესახებ ჩანაწერის შეტანა, შვილის (შვილად აყვანილი პირის) მიერ 18 წლის ასაკის მიღწევა, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გარემოება, რომელიც გამორიცხავს მარტოხელა მშობლის სტატუსის ქონას.

5. მარტოხელა მშობლის სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

6. მარტოხელა მშობლის სტატუსის დადგენისა და შესაბამის პირთა შესახებ მონაცემების წარმოების წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრების ერთობლივი ბრძანებით.

* * *

— როდიდან შედის მიღებიდან სამოქალაქო კანონი ძალაში?

— თქვენთვის საინტერესო საკითხს ამომწურავად პასუხობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ სრულად:

— მუხლი 3. სამოქალაქო კანონის შესვლა ძალაში

1. კანონი და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ძალაში შედიან მხოლოდ დადგენილი წესით ოფიციალურ ორგანოში საყოველთაო გაცნობისათვის მათი გამოქვეყნების შემდეგ.

2. კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენებლობის ანდა ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი.

3. კანონი კარგავს ძალას, თუ ამის შესახებ პირდაპირ უთითებს ახალი კანონი, ან ძველი ეწინააღმდეგება ახალს, ან ახალი კანონი მოიცავს ძველით მოწესრიგებულ ურთიერთობას, ანდა, თუ აღარ არსებობს ის ურთიერთობა, რომელსაც აწესრიგებდა კანონი.

4. ზოგადი ხასიათის კანონი არ აუქმებს სპეციალურ კანონს, თუ ამგვარი გაუქმება არ წარმოადგენს კანონმდებლის პირდაპირ მიზანს.

5. იმ კანონის გაუქმება, რომლითაც გაუქმდა ძველი კანონი, არ ნიშნავს ძველი კანონის ამოქმედებას.

* * *

— აუცილებელია თუ არა განქორწინების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების დარეგისტრირება საჯარო რეესტრში?

— აუცილებელია სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება სამი წლის ვადაში დაარეგისტრირიროთ რეესტრში. სამი წლის შემდეგ, თუ გადაწყვეტილება არ დაარეგისტრირეთ, ისევ მეუღლეებად ითვლებით და თავიდან მოგიწევთ განქორწინების შესახებ სარჩელის შეტანა. ასე, რომ ყველა შემთხვევაში გადაწყვეტილება განქორწინების შესახებ უნდა დაარეგისტრიროთ საჯარო რეესტრის სამოქალაქო აქტების სააგენტოში, რომელიც გასცემს განქორწინების მოწმობას.

შავი ლაქები სახელგანთქმული ბრენდების „ბიოგრაფიებში“

დღეს სამყაროში ყველას სურს წარმატებებს მიაღწიოს. ბევრი ადამიანი ფინანსურად უზრუნველყოფილია, ბევრს კი უნდა, მდიდარი რომ იყოს. თუმცა ცნობილი მსხვილი კომპანიების აღზევების ისტორიის უკან უპატიოსნო თამაში, ცინიზმი და ღალატი დგას.

პოპულარული მსოფლიო ბრენდების ისტორია გაიძულებთ, სრულიად სხვაგვარად შეხედოთ ნაცნობ ლოგოტიპებს.

VOLKSWAGEN და ჰიტლერი

„ფოკლსვაგენი ხოჭო“ შესაძლოა, ყველა დროის ყველაზე პოპულარული ავტომობილია. 1938 წელს ადოლფ ჰიტლერმა დაარწმუნა ავტოკონსტრუქტორი ფერდინანდ პორშე, გერმანელი ხალხისთვის შეექმნა იაფი და საიმედო ავტომანქანის პროექტი. „ხოჭო“ გახდა პირველი მოდელი, რომელიც **Volkswagen**-ის ფირმამ შექმნა. „ხოჭო“ ყველაზე უწყინარი ნაკეთობაა, რომელიც **VW**-მა გამოუშვა გერმანიისთვის. მეორე მსოფლიო ომის წლებში კომპანიის ქარხნებში აწყობდნენ სამხედრო ავტომობილებს, ამზადებდნენ საბრძოლო მასალებს და რაკეტებსაც კი. VW-ის ქარხნებში მომუშავეთაგან 80 პროცენტი საკონცენტრაციო ბანაკის ტყვე იყო. მეორე მსოფლიო ომის დასასრულისთვის „ფოკლსვაგენში“ 50 000-ზე მეტი ტყვე მუშაობდა. ავტოკონცერნმა მხოლოდ 1998 წელს მოიხადა ბოდიში ომის წლებში ადამიანის უფლებების დარღვევის გამო.

NIKE და მუშების ექსპლოატაცია

1964 წელს ფეხსაცმლის მწარმოებელმა **Nike**-მ პირველი სპორტული ფეხსაცმელი გამოუშვა. მას შემდეგ ფირმა მსოფლიო ბრენდად გადაიქცა, რომელიც ყოველწლიურად ათეულობით მილიარდი დოლარის ღირებულების სპორტულ საქონელს ყიდდა. საშინელებაა, მაგრამ კომპანიის წარმატება მუშების შრომის სასტიკ ექსპლოატაციაზეა დაფუძნებული. გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან **Nike**-ს პროდუქცია იქმნებოდა ჩინეთში, ტაივანსა და სამხრეთ კორეაში, სადაც ყველაზე იაფი მუშახელია და შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები არ არის დაცული.

ცნობილი ბრენდის ხელმძღვანელობა უარყოფდა ფაბრიკების არსებობას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, თუმცა 1992 წელს ჟურნალისტური გამოძიებით დადგინდა, რომ **Nike** ცრუობდა და მუშებს ძალიან დაბალ ხელფასებს უხდიდა. 2002 წელს კომპანიამ, როგორც იქნა, ფაბრიკების გახსნიდან 20 წლის შემდეგ, შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე დაიწყო ზრუნვა.

და კიდევ ერთი საეჭვო შტრიხი ფირმის იმიჯისთვის – მისი ცნობილი სლოგანი „უბრალოდ, გააკეთე ეს“ იმ დამნაშავის უკანასკნელი სიტყვებია, რომელიც ელექტროსკამზე სიკვდილით დასჯეს ორი ადამიანის მოკვლის გამო.

BAYER და ჰეროინი

თუ თქვენ გინდათ კარგად მოლხენის შედეგებს გაუმკლავდეთ და ასპირინის მიღება გადაწყვიტეთ, მადლობა „ბაიერს“ უნდა გადაუხადოთ. კომპანია მედიკამენტებს 1863 წლიდან აწარმოებს და მათი გამოშვება ტკივილგამაყუჩებლებით არ დაწყებულა. XIX ს-ის ბოლოს **Bayer**-ი პირველი კომპანია გახდა, რომელიც უშვებდა პრეპარატ დიაცეტილმორფინს სავაჭრო მარკით „ჰეროინი“ და რეკლამირებას უწევდა, როგორც „ახალ საოცარ საშუალებას ბავშვებისთვის“. ფირმა ამტკიცებდა, რომ ჰეროინი სწრაფად შველის სურდოს და ხველას, თუმცა ახლა ჩვენ უკვე ვიცით, რომ ეს იგივეა, გულძმარვისგან თავის დასაღწევად მათეთრებელი რომ დალიო. უნდა ითქვას, რომ ჰეროინის გაყიდვის დაწყებისას კომპანიაში არავინ იცოდა, ნივთიერება დამოკიდებულებას თუ იწვევდა. ჰეროინი გაყიდვაში 1912 წლამდე იყო. ოცდაათი წლის განმავლობაში ფირმაში შედიოდა შეტყობინებები პრეპარატის მიღების შემთხვევაში გვერდითი მოვლენების – „ლომკის“ შესახებ.

BAYER Pharmaceutical Products

HEROIN—HYDROCHLORIDE

is pre-eminently adapted for the manufacture of cough elixirs, cough balsams, cough drops, cough lozenges, and cough medicines of any kind. Price in 1 oz. packages, $4.85 per ounce; less in larger quantities. The efficient dose being very small (1/48 to 1/24 gr.).

The Cheapest Specific for the Relief of Coughs

(In bronchitis, phthisis, whooping cough, etc., etc.)

WRITE FOR LITERATURE TO

FARBENFABRIKEN OF ELBERFELD COMPANY

SELLING AGENTS

40 Stone Street, NEW YORK

პირის ღრუს სავლები LISTERIN – ეს სიცრუეა

რა უნდა ქნათ, თუ არავინ ყიდულობს არაფრით გამორჩეულ ანტისეპტიკურ პრეპარატს? რა თქმა უნდა, უნდა მოიგონო დაავადება, რომელსაც მხოლოდ თქვენი პროდუქტი განკურნავს. „ლისტერინი“ 1880-იანი წლებიდან იყიდებოდა და ღრძილების მცირე დაზიანებების სამკურნალოდ გამოიყენებოდა. ერთხელ სავაჭრო მარკა **Listerin**-ის მფლობელმა ჯორდან ლამბერტმა გამოიგონა სამედიცინო ტერმინი „ჰალიტოზი“, რაც პირიდან უსიამოვნო სუნს ნიშნავს. ჩაატარა რა გაზეთებში აგრესიული სარეკლამო კამპანია, ლამბერტმა სასურველ შედეგს მიაღწია – „ლისტერინის“ გაყიდვებმა არნახულ ზღვარს მიაღწია. განსაკუთრებით პოპულარული „ლისტერინი“ საშუალო შემოსავლების მქონე ამერიკელებს შორის გახდა, რადგან ისინი დაარწმუნეს, რომ პირიდან ცუდი სუნი ადამიანებს არაპოპულარულებს ხდის და ეს განქორწინების მიზეზიც კი შეიძლება გახდეს. მყიდველების საკუთარ თავში დაურწმუნებლობამ **Listerin**-ი ჩვეულებრივი ანტისეპტიკიდან მსოფლიო მასშტაბის ცნობილ ბრენდად აქცია.

IKEA და უფასო შრომა

IKEA ისეთ კომპანიად გესახება, რომელსაც „ადამიანური სახე“ აქვს, სადაც ზრდილობიანი შვედები შემოგთავაზებენ იაფ, მაგრამ ლამაზ ავეჯსა და ჭურჭელს, რომელთაც სახალისო დასახელებები აქვს. მით უფრო მტკივნეულია იმის გაგება, რომ ამ კორპორაციის წარსული მონურ შრომასთან არის დაკავშირებული. საუბარი ეხება გასული საუკუნის 70-იან წლებს. სწორედ მაშინ გადაწყვიტა **IKEA**-მ გდრ-სთან თანამშრომლობა, სადაც პოლიტპატიმრები აწარმოებდნენ ხის ავეჯის მაკომპლექტებლებს და ამაში არავითარ ანაზღაურებას არ იღებდნენ. შვედური ფირმა ამ მომსახურებით ბერლინის კედლის დანგრევამდე, 1989 წლამდე სარგებლობდა.

FORD და ანტისემიტიზმი

ავტოკონცერნის მფლობელი ჰენრი ფორდი, რომლის წარმოებასაც მისივე სახელი ერქვა, გახლდათ ინჟინერ-გამომგონებელი, გენიალური ბიზნესმენი და გერმანიის არწივის დამსახურების ორდენის კავალერი. ავტომობილების კონსტრუირების გარდა, ფორდს აინტერესებდა ამერიკაში ებრაელების შეთქმულების კონსპიროლოგიური თეორიები. მან შეიძინა მიჩიგანის შტატის ქალაქ დორნორნის გაზეთ „დორბორნ ინდეპენდენტის“ აქციები და ის ანტისემიტიზმის რუპორად აქცია. გაზეთი მთელ ამერიკაში ვრცელდებოდა უფასოდ ფორდის ავტოსალონების მეშვეობით. გამოცემაში გამოქვეყნებული სტატიები, რომლებიც მკვეთრად გამოხატული ანტისემიტური ხასიათისა იყო, შეიკრიბა და ოთხტომეულად გამოიცა სათაურით: „საერთაშორისო ებრაელობა“, რომელიც 4,5 მლნ ტირაჟით გამოვიდა.

NESTLE და მშრალი რძე

ჩვენში ეს დასახელება კაკაოსა და შოკოლადის ასოციაციას იწვევს, აფრიკის, აზიისა და სამხრეთ ამერიკის მოსახლეობაში კი ეს კომპანია ცნობილია იმით, რომ ცდილობდა, მშრალი რძის ფხნილი მოსახლეობის ყველაზე დაბალი ფენის წარმომადგენელი მეძუძური დედებისთვის მიეყიდა. გასული საუკუნის 70-იან წლებში აშშ-ის სენატმა და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ დაგმეს **Nestle**-ს მშრალი რძის გაყიდვების ამორალური სტრატეგია. ექიმებად და მედდებად გადაცმული კომპანიის თანამშრომლები მეძუძურ დედებს ურიგებდნენ მშრალი რძის პირველ უფასო ულუფას დედამიწის უღარიბეს რაიონებში. რძის ფხვილის მიღების შემდეგ დედებს რძე უქრებოდათ და ქველმოქმედებაც სრულდებოდა, დედები იძულებულნი იყვნენ, რძე შეეძინათ, რაც ყველას როდი შეეძლო. ამის გამო ბავშვები წონაში ვერ იმატებდნენ და ავად ხდებოდნენ. მესამე სამყაროს ქვეყნებში, სადაც ბავშვებს „ნესტლეს“ რძის ნარევს აჭმევდნენ, ბავშვთა სიკვდილიანობა ხუთჯერ აღემატება დედის რძით ნაკვები ბავშვების სიკვდილიანობას. ყოველწლიურად 11 მლრდ დოლარის ღირებულების **Nestle**-ს ბავშვთა კვების პროდუქტი იყიდება.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001

http://www.saertogazeti.ge